221
1933

№17

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროშა



ტფილისში შენდება სახელგამის „წიგნის სასახლე“.

# ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამხ. სტალინი, ვოროშილოვი და კიროვი თეთრი ზღვის არხზე

## ავიაციის დღე თბილისში

18 აგვისტოს—ავიაციის დღეს — თბილისის აეროპორტის ტერიტორიაზე მოეწყო მასიური სეირნობა და ჩატარდა აეროპლან „სტალ—№ 2“ „ამიერ-კავკასიის ფიზკულტურელის“ გადაცემა სამოქალაქო



საჰაერო ფლოტისათვის. მუშათა დელეგაციებმა დაათვალიერეს სხვადასხვა კონსტრუქციის აეროპლანები, ნაჩვენები იქნა სახოფლო-სამეურნეო ავიაციის მუშაობა და მოეწყო დამკვრელთა გაფრენა.

ავიაციის დღეს საჰაერო მიმოსვლის ამიერ-კავკასიის სამმართველომ გახსნა საქალაქთაშორისო საფოსტო კავშირის ახალი ხაზები. იმავე დღეს გაფრინდა პირველი აეროპლანი თბილისიდან სოხუმში.

სურათებზე: ზევით მარცხნივ—დაშვება აეროპლანიდან პარაშიუტით; ქვევით აეროპლანი „ამიერ-კავკასიის ფიზკულტურელი“ („სტალ—2“-ს ტიპის), რომელიც 18 აგვისტოს გადაეცა სამოქალაქო ფლოტს.

## დნეპროპეტროვსკის ოლქის კოლმეურნეები იბრძვიან პირველობისათვის.

25 აგვისტოს დნეპროპეტროვსკში გაიხსნა ოლქის საუკეთესო კოლმეურნეთა შეკრება. დნეპროპეტროვსკის ოლქის კოლმეურნეობები იბრძვიან პირველობისათვის სტალინის ესტაფეტაში—პურის პირველად ჩაბარებაზე სახელმწიფოსთვის შეკრების



გახსნის დროისთვის ოლქის კოლმეურნეობების ნახევარმა უკვე შეასრულა პურის ჩაბარების წლიური გეგმები.

სურათზე—დამკვრელი კოლმეურნე მარია ივანეს ასული შევჩენკო (კოლმეურნეობა „ვოსხოდ“ შეტანილია საკავშირო წითელ დაფაზე) ახალი მოსავლის ფქვილიდან ამხ. სტალინისათვის საჩუქრად გამოცხობილი პურით.

## ჭაბურღილი ღია ზღვაში



„ილიჩის ბუხტა“—ეს არის ტერიტორია, რომელიც ბაქოს ნავთის მრეწველობის მუშებმა წაართვეს კასპიის ზღვას. იგი უკვე ამჟამად აძლევს საბჭოთა ქვეყანას 8000 ტონა ძვირფას ბენზინიან ნავთს. 280 მეტრის მანძილზე ბუხტის ნაპირიდან ღია ზღვაში გათხრილი იქნა ჭაბურღილი. 595 მეტრის სიღრმეზე. ახლა ეს ჭაბურღილი იძლევა 100 ტ. ნავთს დღე-ღამეში.

სურათზე—ჭაბურღილი № 738 ღია ზღვაში.

## ბოლშევიკურად ატარებენ საშემოდგომო ხვნას.

კოლმეურნეობა „ლენინაკანი“ (ბორჩალოს რაიონი) ბოლშევიკურად იბრძვის იმისთვის, რომ ყველა კოლმეურნეები გახდნენ შეძლებულებად. შარშანდელი 2,5 კილოგრამის ნაცვლად შრომა-დღეზე,



წრეულს კოლმეურნეებმა მიიღეს 8 კილოგრამი. კოლმეურნეობამ ვადაზე ადრე ჩააბარა სახელმწიფოს კუთვნილი პური.

ახლა მიმდინარეობს მიწის მოხვნა შემოდგომის ნათესებისათვის.

სურათზე — მარცხნით კოლმეურნეობის აგრონომი ამხ. გაჩეჩილაძე ამოწმებს ... ლის სიღრმეს, მარჯვნივ— კომკავშირული საბძლის გამგე ამხ. ბარონიანი: კოლმეურნე ჩობანოვის წიგნაკის აღნიშვნის დროს. ამხ. ჩობანოვმა 200 შრომა-დღეში მიიღო ახი ფუთი ხორბალი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ორკვირეული მახიური სამხატვრო პოლიტიკური ჟურნალი

რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველდღე 12-3 საათამდე. მისამართი: წულუკიძის ქ. 8.

№ 17 ტფილისი, 15 სექტემბერი გაზ. „კომუნისტი"-ს გამ-ბა 1933

# ედუარდ ერიო საბჭოთა კავშირში



საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა საფრანგეთის გამოჩენილი მოღვაწე, ყველაზე დიდი ბურჟუაზიული პარტიის — რადიკალ - სოციალისტთა პარტიის ლიდერი და დეპუტატთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ედუარდ ერიო.

ედუარდ ერიო, რომელიც ომის შემდგომ წლებში სამჯერ იყო პრემიერ-მინისტრათ, არის საფრანგეთის იმ ბურჟუაზიული წრეების წარმომადგენელი, რომლებმაც შეიგნეს საბჭოთა კავშირის მიმართ აშკარა და ფარული ინტერვენციონისტული გეგმების მავნებლობა ორივე ქვეყნების ინტერესებისათვის და რომლებიც გამოდიან რა ამ გეგმების წინააღმდეგ, საჭიროდ სცნობენ საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებას და განვითარებას.

ერიო იყო ინიციატორი და გამტარებელი საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენისა 1924 წ. მისივე თაოსნობით და აქტიური მონაწილეობით იქნა დადებული საფრანგეთ-საბჭოთა თავდაუსხმელობის პაქტი 1932 წ.

საბჭოთა კავშირში ერიო ჩამოვიდა მეორეჯერ. პირველად ის აქ ყო 1922 წ. და შესძლო დარწმუნებული იყო, თუ რა გიგანტური მუშაობა ჩაატარეს განვლილი 11 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის მშრომელმა მასებმა, გამსჭვალულმა სოციალისტური მშენებლობის პათოსით.



საჯარო ბიბლიოთეკა

# ახალგაზრდათა 19 საერთაშორისო დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

1915 წ., მეორე ინტერნაციონალის სურვილის წინააღმდეგ, რომელიც მთელი ძალღონით იბრძოდა ახალგაზრდათა დამოუკიდებელ საერთაშორისო დღის ჩასაშლელად, ახალგაზრდათა ორგანიზაციების **რევოლუციურმა ნაწილმა ჩაატარა გაზრდობის პირველი საერთაშორისო დღე.**

ეს იყო ისტორიაში მანამდე გაუგონარი მოვლენა, როცა რევოლიუციური ახალგაზრდობა ზარბაზნების გრიალისა და ალვირახსნილი შოვინიზმის თარეშის პირობებში გაბედულად და თავდადებით გამოვიდა იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ.

დასავლეთ - ევროპის ქვეყნების ახალგაზრდობა ამ საბრძოლო გამოსვლით დაუკავშირდა და დაუახლოვდა ლენინსა და რუს ბოლშევიკებს, რომლებიც შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდენ იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევისათვის. საერთაშორისო იმპერიალისტური ომის საშინელებებმა დააჩქარეს საერთაშორისო რევოლიუციონური ახალგაზრდობის ჩამოშორება მეორე ინტერნაციონალის გავლენისა და მისი ხელმძღვანელობისაგან.

მარქს-ლენინის მოძღვრება ერთად-ერთი მოძღვრებაა, რომელიც ერთ დროშის ქვეშ რაზმავს საერთაშორისო ახალგაზრდობის საუკეთესო, რევოლიუციურ ნაწილს.

საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადის ამხ. ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის გარშემო ირაზმებიან ყველა ქვეყნის მშრომელთა ფართო მასები.

ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალი საერთაშორისო ახალგაზრდათა მე-19 დღეს შეხვდა იდეურად და ორგანიზაციულად განმტკიცებული. საერთაშორისო რევოლიუციური ახალგაზრდობა დაუღალავ ბრძოლას აწარმოებს პროლეტარიატის ბელადის — ლენინის საუკეთესო მოწაფის და თანამებრძოლის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით რევოლიუციური ახალგაზრდობის ლენინურად აღსაზრდელად.

საერთაშორისო რევოლიუციურ ახალგაზრდობის უმთავრეს წამყვან ძალას წარმოადგენს საბ. კავშირის ლენინური კომკავშირი.

ლენინური კომკავშირი, რომელიც ვითარდება ამხ. **სტალინის** და ბოლშევიკური პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით, გაიზარდა პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში უძლიერეს კომუნისტურ და დიდ მნიშვნელოვან სახელმწიფო ძალად. საბჭოთა კავშირის მილიონიანი ახალგაზრდობა გაიზარდა და დავაჟკაცდა ექსპლოატაციისა და კლასობრივი ჩაგვრის გარეშე— სოციალიზმისათვის ბრძოლის პერიოდში.

საბჭოთა კავშირში ახალგაზრდობის კომუნისტურად აღსაზრდელად ყოველგვარი პირობებია მოცემული.

საბჭოთა კავშირის მშენებლობის უდიდეს ეპოქაში გაზრდილი, დავაჟკაცებული კომკავშირი ყველაზე უფრო მოწინავე ახალგაზრდობაა მსოფლიოში.

საბჭოთა კავშირის კომკავშირი იზრდება და ვითარდება ფაბრიკ - ქარხნებში, კოლ. და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე ბოლშევიკური ტემპების გაშლის პირობებში, სადაც მიმდინარეობს ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნა, ბრძოლა საუკუნოებრივი ჩამორჩენილობასთან და კოლექტიურ დოვლათის შექმნის განმტკიცება.

დღითი დღე იზრდება საერთაშორისო რევოლიუციურ ახალგაზრდობის სიმპატია საბჭოთა კავშირის მიმართ. ამისი ცოცხალი მაგალითია ის უჩვეულო ფართო ხასიათი, რომელიც წელს ჰქონდა ამ დღეს მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში უსასტიკესი რეაქციის თარეშის პირობებში.

საერთაშორისო რევოლიუციური ახალგაზრდობა, გაერთიანებული საერთაშორისო კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ თავის ხელმძღვანელ კომპარტიასთან ერთად შეურიგებელ კლასობრივ ბრძოლას აწარმოებს ყოველგვარი იმპერიალისტური, შოვინისტური და ნაციონალისტური იდეების გავრცელების წინააღმდეგ მუშა ახალგაზრდობაში.

საერთაშორისო რევ. ახალგაზრდობას მტკიცედ ახსოვს ამხ. **სტალინის** მითითებანი, რომ **„ინტერნაციონალიზმი არის კომკავშირის მუშაობის ძირითადი იდეა. ამაშია მისი ძლიერება. საჭიროა, რომ ინტერნაციონალიზმის სულისკვეთება მუდამ თან სდევდეს კომკავშირს. საჭიროა, რომ ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატის ბრძოლაში მიღწევებსა და მარცხს კომკავშირი თავის გონებაში უკავშირებდეს საერთაშორისო პროლეტარიატის მიღწევებსა და მარცხს. საჭიროა კომკავშირმა შეისწავლოს ჩვენი რევოლიუციის განხილვა, არა როგორც თვითმიზანი, არამედ როგორც საშუალება, და დამხმარე საშუალება საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვებისათვის მთელს მსოფლიოში“.**

ამ პრინციპების მომარჯვებით, მოპოვებულ გამარჯვებათა შენარჩუნებით, თავისი რიგების კიდევ უფრო შემჭიდროებით სოციალიზმისათვის შეუდრეკელი ბრძოლით გამოვიდა ლენინური კომკავშირი ...ძავე იდეებით მიდის ის წინ შემდგომ გამარჯვებათა მოსაპოვებლად.



ახალგაზრდათა მე-19 საერთაშორისო დღე ტფილისში. დემონსტრაცია საქ. ას. ლ.კ.კ. ცენტრ. და ტფილისის კომიტ. შენობის წინ. ტრიბუნაზე დგანან: ამხ. ამხ.ლ. ბერია, გ. ყურულაშვილი, პ. აღნიაშვილი, ეფენდიევი, არ. წითლიძე და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცნაური ხომალდი

ალ. აბაშელი

კარო შეუძღვა დელეგატებს „რაუნიტ“-ში და თვითეულს თავისი კაბინი უჩვენა.

ხომალდის ტალანში დღის სინათლე იდგა, თუმცა მგზავრებმა ფანჯრები ვერსად შენიშნეს.

კაბინს ცერითო რგვალი მთლიანი მინის (თუ მინის მაგვარი ლითონის?) ფანჯარა ჰქონდა და კედლებზე მომწვანო ფერის რბილი ხავერდი იყო გაკრული. მაგიდა, სამი სავარძელი და საწოლი იატაკზე იყო მიკრული. მაგიდის გვერდით პატარა შკაფი იდგა, ხოლო იქვე კუთხეში კედელზე მიმაგრებული იყო ფაიფურის ბაკანი ჭედ დაშვერილი ნიკელის ონკანით. კედლებს გარშემო კაცის სიმაღლეზე არშიასავით ხის მოაჯირი ჰქონდა შემოვლებული.

ყველას თავის ჩემოდანი კაბინში დახვდა.

მგზავრები რამდენსამე წუთში სავსებით დალაგდენ და შემდეგ საერთო კაბინში შეიკრიბნენ. ეს კაბინი ხომალდის ბოლოში იყო და რგვალი. შუშასავით გამჭვირვალე კედელი ჰქონდა, აქედან მშვენიერი გადასახედი იყო და დელეგაციის წევრები განუცდელი მღელვარებით გასცქეროდენ დედამიწას, რომელსაც საცა იყო უნდა გაშორებოდენ და, ვინ იცის, დაუბრუნდებოდენ თუ არა მას როდისმე უვნებლად. განსაკუთრებით ღელავდა დინგვეი, რომელიც გულში უკვე ნანობდა, რომ ასე დაუფიქრებლად ჩაება ამ სახიფათო საქმეში.

12 საათსა და 30 წუთზე „რაუნიტი“ დაიძრა.

თითქო ლიფტი ასრიალდაო, მგზავრებს იატაკი მძლავრად მოაწვა ფეხებზე და დედამიწა აქანავდა. წუთიც და მგზავრების თვალწინ დედამიწამ იწყო თანდათან დაძირვა.

— რა სიჩქარით მივფრინავთ, თუ იცით? —ჰკითხა მაკდონალდმა კამარელს.

—წამში ათი მეტრის აჩქარებით.—მიუგო კამარელმა.—ასეთი ნელი ტემპით, როგორც კარო ამბობს, პირველად მიჰფრინავს „რაუნიტი“ მაგრამ ეს „უცხო მგზავრთა“ პატივისცემით აიხსნება, თუმცა ეს სიჩქარე მაინც საკმაოდ დიდია: იგი ტოლის დედამიწაზე სხეულის თავისუფლად ვარდნის სისწრაფეს.

— როგორ, დედამიწაზე ვეცემით, თუ ვშორდებით მას?— შეეკითხა გაკვირვებით მაკდონალდი.

—ისეთი სიჩქარით ვშორდებით ჩვენ ახლა დედამიწას, რა სიჩქარითაც მივუახლოვდებოდით მას, ცის შორეულ სივრციდან თავისუფლად, რომ ვეცემოდეთ დედამიწის ზედაპირს. ყოველ წამს ჩვენი სიჩქარე მატულობს 10 მეტრით.

— ათი მეტრის სიჩქარე რა დიდია!— გაუკვირდა დინგვეის. კამარელმა საათზე დაიხედა.

— უკვე სამი წუთია რაც მივფრინავთ. პირველი წუთის შემდეგ ჩვენ მივქროდით წამში 600 მეტრის სიჩქარით, ახლა კი ჩვენი სიჩქარე უდრის 1.800 მეტრს, ე. ი. თითქმის ორ კილომეტრს წამში. ერთი საათის შემდეგ ჩვენ უკვე კოსმიური სხეულის სიჩქარეს მივაღწევთ—წამში 36 კილომეტრს.

დინგვეი გაფითრდა. ჯიბიდან ამოიღო აკანკალებული ხელით პატარა კოლოფი, გახსნა და ერთი თეთრი აბი გადაყლაპა.

— შეხედეთ!—წამოიძახა ბრიანმა. — როგორ დაგვშორდა დედამიწა და ამავე დროს იგი თითქო ბრუნავს.

— ჩვენ მივფრინავთ ტფილისის მერიდიანით ჩრდილოეთის პოლუსისაკენ. — განუმარტა კამარელმა.—ამიტომ გვეჩვენება, თითქო დედამიწა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ბრუნავდეს.

— პოლუსისაკენ რისთვის მივფრინავთ? — იკითხა ბრიანმა.

— ჩვენ, მიუხედავად იმისა, რომ საკმაო მანძილით დავშორდით დედამიწის ზედაპირს, მაინც ვღებულობთ მონაწილეობას დედამიწის ღერძის გარშემო ბრუნვაში. რომ ამ ტრიალს თავი დააღწიოს, „რაუნიტი“ პოლუსიდან უნდა მოსწყდეს დედამიწას.

ამ დროს „რაუნიტი“ უკვე ჰაერის ზედასფეროზე მიჰქროდა. დედამიწის ჩრდილო-ნახევარი მზის სხივებით იყო შემოსილი და აქა-იქ ღრუბლის გროვა დამაბრმავებელი ელვარებით ბრწყინავდა. შორიდან მოსჩანდა შავი და კასპიის ზღვების დაბინდული კონტურები და სხივნაფრქვევი კავკასიონის თვალის მომჭრელად ანათებდა. ჩრდილოეთისკენ განთიადის ზოლივით გამოჩნდა ყინულოვანი ზღვის თეთრი ტილო და იელის გრენლანდიის ნაპირებმა. კიდევ რამდენიმე წუთი და „რაუნიტი“ პოლუსის დაღრუბლულ სივრცეს მოექცა ზედ, სწორედ იქ, საცა დღისა ღამის საზღვარი შუა ჰყოფდა დედამიწას. ჩრდილოეთ-ამერიკისა და წყნარი ოკეანის მიდამოები ღამის ბურუსით იყო მოცული. ატლანტიის ოკეანის დასავლეთისკენ ზღვაში ჩაძირულივით მოსჩანდა თეთრად მოელვარე მთვარე, რომელიც თანდათან ამოვიდა ზღვიდან და აფრენილ გედივით სცილდებოდა დედამიწას.

„რაუნიტმა“ აიღო სწორი გეზი და სიჩქარეს უმატა.

უფრო ძალუმად მოაწვა მგზავრებს იატაკი და უფრო დამძიმდა მათი სხეული.

კამარელი იდგა გამჭვირვალე კედელს მიყრდნობილი და მთრთოლავი გულით შესცქეროდა ქვესკნელში მიმქროლავ დედამიწას.

აჰა, ესეც პლანეტთაშორისი ფრენის ბევრჯერ ნანატრი განცდა. ჯერ კიდევ ყმაწვილობის დროს რამდენჯერ დამტკბარა იგი ფანტასტიური რომანების კითხვით, სადაც მრავალი ვარიაციით აწერილი იყო ცის მიუვალი ოდაბნოს დაპყრობა. რამდენჯერ აძგერებულა მისი გული ჟულ ვერნისა და ჰერბერტ უელსის გმირთა გაბედული გეგმებით და მათთან ერთად მოხიბლულა. ფანტასტიური ოცნების რეალური განცდით და აი, დღეს თითონ ის მიჰფრინავს ვარსკლავთა სამყაროში არა სიზმრით თვალ-დაბინდული, არა ოცნებით, არა წიგნით ხელში, არამედ ნამდვილად, ცხადად და საკუთარი ხელის შეხებით გრძნობს „რაუნიტის“ რეალობას, საკუთარი თვალებით ჰხედავს ცის უფსკრულში დანთქმულს დედამიწას.

კამარელმა შუბლზე ხელი გადისო და ირგვლივ მიმოიხედა: კაბინში მის გარდა არავინ იყო.

სანამ „რაუნიტი“ პოლუსს მოაღწევდა, თუმცა ატმოსფერის უმაღლეს ფენაზე მიჰქროდა იგი, მაინც დედამიწის სამფლობელოში გრძნობდენ თავს მისი მგზავრები მაგრამ როცა პოლუსიდან „რაუნიტი“ ვერტიკალური გეზით აცარდა და დედამიწა მოწყვეტილ ქვასავით ჩაეშვა უცსკერო სივრცეში, მგზავრებს გული შეუკუმშა უცნაურმა შიშმა და მათ არჩიეს ამ მეტად არაჩვეულებრივი სანახაობისათვის თვალის არიდება და თავიანთ კაბინებს მიაშურეს.

დინგვეის ნერვიულად აეროლებდა. გაუხდელად წამოწვა და პალტო წამოიხურა.

მაკდონალდმა თავის ჩემოდანს ღვედების შეხსნა დაუწყო. ბრიანმა თავის კაბინში ვერ მოისვენა და მაკდონალდს ესტუმრა.

— რაღაც უცნაურად ვგრძნობ თავს.— უთხრა მან მაკდონალდს,—მარტოდ ყოფნა მეზარება.

— აქ დაისვენეთ,—მოიპატიჟა მაკდონალდმა.

ბრიანი საწოლზე წამოწვა, უბნიდან პენსე ამოიღო ცხვირზე წამოიგო გაშალა „Matin“-ის ნომერი და კითხვა დაიწყო.

კამარელი ისევ უძრავად იდგა შუშის კედელთან და მისჩერებოდა სივრცეში ჩაძირულ დედამიწას.

ცას თანდათან შუქი მოაკლდა. მზე თუმცა ანათებდა ულრუბლო და უნისლო სივრცეში. მაგრამ კოსმიური ღამის უჰაერო ჩრდილი თანდათან აჩენდა ვარსკვლავებს და „რაუნიტის“ წინამხარეს შავი ხავერდის საბურველი ეფინებოდა ქვემოდან. ბოლოდან კი ხომალდს ღვარად ასკდებოდა დედამიწისა და მთვარის ელვარება და ჩრდილი და სინათლე შავ და თეთრ ზოლებად იწვა ხომალდის ტანზე. ხოლო ზურგზე ჰაერით შეუნელებელი მზის სხივები ავარვარებულ კოცონს ანთებდა.

კამარელი დაჯდა, სავარძლის სახელურს ხელი მოჰხვია და თავით ზედ დაეყრდნო.

უეცრად რაღაც უჩინარმა ჩრდილმა შავ ელვასავით გაიკრიალა და „რაუნიტი“ თითქო შესდგა უცბად და სივრცეში უძრავად დაეკიდა.

კამარელს ყოველ მხრიდან სინათლესავით მოაწვა აბსოლუტური სიჩუმე და ყურებში წივილი დაუწყო. მთელი სხეული აევსო ჰაეროვანი სიმსუბუქით.

ამ იმავე წამს დელეგატების კაბინიდან საშინელი ღრიალი მოესმა.

კამარელმა მყისვე მოისაზრა რაც მოხდა და განსაკუთრებული სიფრთხილით ჩასჭიდა ხელები ტალანის კედელზე ხაზივით გაყოლებულ წითელი ხის მოაჯირს და ახლად ფეხადგმულ ბავშვივით ტაატით და მოაჯირზე ხელების ფათურით შევიდა კაბინში, საიდანაც ისმოდა გულის შემზარავი ყვირილი.

კაბინში უცნაურ სურათს წააწყდა: გაფითრებული დინგვეი, სასაცილოდ გაშხლართული, ჭერს მიკვროდა, ხელები მაგრა ჩაევლო ვენტილაციის ონკანისთვის და ფეხებს ჰაერში ბაყაყივით ასავსავებდა.

— მიშველეეეთ! ეს რა მოხდა! რა მომივიდა! — ღრიალებდა იგი და გაოცებული

---

*) რომანიდან: „ქალი სარკეში“.

თვალებით მიშტერებოდა შუა კაბინაში ჰაერში უძრავად დაკიდულ პალტოს.

კამარელი გაჰყვა მოაჯირს კედელ-კედელ, მიუახლოვდა იმ კუთხეს, სადაც ჰაერში ეკიდა დინგვეი, ამოიღო ჯიბიდან ცხვირსახოცი, აუქნია ზევით და უთხრა:

— ნუ ყვირით, ეხლავ აგიხსნით რაც მოხდა. ჯერ ამ ცხვირსახოცს მოჰკიდეთ ხელი.

დინგვეიმ ცხვირსახოცს ორივე ხელი წაავლო, კამარელმა ძირს დასწია და საპნის ბუშტივით მსუბუქი და აფამფალებული დილიგატი იატაკზე დასვა და ხელები ნოაჯიროსნ მიუტანა.

— მოჰკიდეთ ამას ხელი და არ მოჰშორდეთ. მე-კი დანარჩენებს მივეშველები, მათაც უჭირთ, როგორც ჩანს.

მართლაც, მეზობელ კაბინიდან ისმოდა ოხვრა და წყევლა-კრულვა.

— პალტოს შეხედეთ, პალტოს! — დაიკნავლა შეშინებულმა დინგვეიმ, — პალტო! რა მოუვიდა?

— არაფერი უშავს პალტოს. — ამშვიდებდა კამარელი. — რა გენაღვლებათ, ეკიდოს ჰაერში.

კამარელი გაჰყვა მოაჯირს და მეზობელ კაბინში შეჰყო თავი.

აქაც კომიკური სურათი დახვდა.

ბრიანი ფანჯრის ახლო ჰაერში ეკიდა თავდაღმა. ფეხები ჭერისკენ ჰქონდა აშვერილი, ხოლო ხელებით იატაკს ეპოტინებოდა, მაგრამ ვერც ჭერს სწვდებოდა და ვერც იატაკს „Matin-ის“ ნომერი თეთრი ღრუბელივით გაჰკროდა ჭერს. პენსნე ცოტა მოშორებით ჰაერში იყო გაჩერებული.

მაკდონალდი ორივე ხელით მოჰხვეოდა უზარმაზარ ჩემოდანს და მასთან ერთად მსუბუქად დასცურავდა ჭერსა და იატაკს შუა: ჭერს რომ თავს მიადებდა, იმ წამსვე ნელი ფამფალით დაბლა დაეშვებოდა, იატაკს რომ ფეხს მიაკარებდა — მყისვე ამრთოლებულ ბუშტივით ჭერისკენ გაემართებოდა.

— ღმერთმა დასწყევლოს მარსიცა და აქ წასვლის მომგონიც! — იწყევლებოდა მაკდონალდი.

— ბ-ნო კამარელო! — დაიყვირა ბრიანმა, კამარელი რომ დაინახა. — რა არის ეს? რა მოხდა?

— არაფერია, დამშვიდდით. — მიუგო კამარელმა და კაბინში შევიდა. — სრულიად ბუნებრივი მოვლენაა.

— რატომ არ გაგვაფრთხილეთ, თუ ეს მოგველოდა? — იწყინა ბრიანმა და ორივე ფეხი მოჰლუნა, მაგრამ ამ შერხევამ წისქვილის ბორბალივით დაატრიალა ჰაერში.

— ნუ თუ ასე უნდა ვიქანავოთ საათის ქანქარასავით ჭერსა და იატაკს შუა? — დაიკვნესა მაკდონალდმა.

— ახლავე მოგეშველებით. — მიაძახა კამარელმა და როცა მაკდონალდი ძირს დაეშვა, ხელი გაუწოდა.

— მოჰკიდეთ ხელი. ჩემოდანს ხელები გაუშვით.

მაკდონალდმა ცალი ხელი კამარელს წაავლო, მეორით ჩემოდანი იატაკზე დასდო. ჩემოდანი ისევ ჰაერში აცურდა, ხოლო მაკდონალდი კამარელმა მოაჯირს მიაყენა.

შემდეგ ჰაერში [illegible] ბრიანს სტაცა ხელი და ისიც მოაჯირს მიამაგრა.

ბრიანმა პეპელასავით აფრენილი პენსნე დაიჭირა და უბეში ჩაიდო.

ამ დროს კაბინში ოხვრითა და ფორთხვით შემოძვრა დინგვეიც.

— მოქალაქენო! — მიმართა მგზავრებს კამარელმა. — აი სამი სავარძელი, მაგიდა და საწოლი. ყოველი მათგანი საიმედოა, რადგან მიკრულია იატაკზე. მოჰკიდეთ ხელი, გინდ დაბრძანდით, გინდ დაწექით, გნებავთ დადექით, თუმცა დგომასაც, წოლასაც და ჯდომასაც აქ ერთი ფასი აქვს.

— აგვიხსენით, რა მოხდა? — დაეღრიჯა კამარელს დინგვეი და ერთ-ერთ სავარძელს წაავლო ხელი, მაგრამ რამდენიც არ ეცადა, ვეღარ დაჯდა: ხან ერთი ფეხი აუცურდებოდა, ხან მეორე, ხანაც სავარძლის ზამბარა ზედ აისროდა.

ბრიანმა და მაკდონალდმა მოახერხეს, როგორც იყო, სავარძლებზე ტანის მიმაგრება. ორი ხელით სავარძელს ჩაფრენოდნენ სახელურებზე და ისხდნენ გაუნძრევლად.

— ეცადეთ არ გაინძრეთ და არ აცურდებით. — სთქვა კამარელმა. — როცა ამ მდგომარეობას შეეჩვევით, მერე არ გაგიძნელდებათ მორჩილებიდან გამოსულ სხეულის დაურვება.

— რატომ შესდგა „რაუნიტი“? — იკითხა ბრიანმა. — ნუ თუ ხიფათი რამ შეემთხვა,

— „რაუნიტი“ კი არ შესდგა, — მიუგო კამარელმა, — აჩქარება შესწყვიტა, ვინაიდან მიაღწია საჭირო სისწრაფეს. ახლა იგი მიჰქრის წამში 600 კილომეტრის სიჩქარით. ამით აიხსნება ის მდგომარეობა, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით: „რაუნიტმა“ დაჰკარგა სიმძიმე. მოგეხსენებათ, რომ სივრცეში ინერციის ძალით თავისუფლად მქროლავი სხეული სავსებით ჰკარგავს სიმძიმეს.

— მაშ ჩვენც სიმძიმე დავკარგეთ? — იკითხა დინგვეიმ.

— რა თქმა უნდა, ჩვენც, რადგანაც „რაუნიტთან“ ერთად ჩვენც ისეთივე სიჩქარით მივქროლავთ სივრცეში.

— განა დედამიწის მიზიდულობა არ მოქმედობს ახლა „რაუნიტზე“? — შეეკითხა მაკდონალდი.

— მოქმედებს, მაგრამ ერთ და იმავე ძალით მოქმედებს როგორც „რაუნიტზე“, ისე შიგ მყოფ ყველა საგანზე. ამიტომ ხომალდის შიგნით, ასე ვთქვათ მის სისტემაში, ეს მოქმედება არა ჩანს. თუ დედამიწის მიზიდულობის გავლენით „რაუნიტი“ წამში ერთი მეტრით იწევს მიწისკენ, ჩვენც იმავე ძალის შეოხებით იმდენადვე ვიწევთ მისკენ, ასე რომ „რაუნიტის“ იატაკსა და ჩვენს შორის მანძილი არ იცვლება.

— მაშ ჩვენ რომ ახლა კარი გავაღოთ და ხომალდიდან დედამიწაზე გადავცვივდეთ, არ დავეცემით ჩვენს პლანეტზე? — იკითხა ბრიანმა.

— რა თქმა უნდა, არ დავეცემით — მიუგო კამარელმა. — ჩვენც მოძრაობის ისეთივე ინერცია გვაქვს, როგორიც „რაუნიტს“ და, მაშასადამე, კიდეც რომ გადავხტეთ აქედან, გავყვებით მას სივრცეში იმავე სიჩქარით და მიმართულებით.

— მაინც ვერ გავიგე კარგად — სთქვა დინგვეიმ, — თუ „რაუნიტს“ დედამიწა იზიდავს, რატომ ჩვენც არ მიგვიზიდავს?

— მთვარესაც იზიდავს ხომ დედამიწა? მაგრამ მთვარიდან საგნები დედამიწაზე როდი სცვივა.

— მთვარეზე საგნებს მთვარე იზიდავს. — მიუგო დინგვეიმ.

— თუ გნებავთ, აქაც იგივე ხდება. „რაუნიტი“ ამ შემთხვევაში შეიძლება პატარა ციურ სხეულად ჩაითვალოს. იგი გვიზიდავს ჩვენ, მაგრამ მისი მასა იმდენად მცირეა, რომ მის მიზიდულობას ჩვენ ვერც-კი ვგრძნობთ.

მგზავრები როგორც იყო დაშოშმინდენ.

— მაგრამ როგორ უნდა ვიცხოვროთ ასეთს ყოფაში? — იხრავდა დინგვეი, — განა სიმძიმეს მოკლებულ არეს ჩვენი სხეული აიტანს?

— როგორც ჩანს, აიტანს — სთქვა კამარელმა. — დედამიწაზეც ხშირია ისეთი მდგომარეობა, თუმცა ძალიან მცირე ხნით, როცა ადამიანის სხეული სრულებით ჰკარგავს სიმძიმეს. ეგ არის ვარდნის დროს, ან როცა ადამიანი გადახტება ერთი ადგილიდან მეორეზე. იმ რამდენიმე წამის განმავლობაში, როცა ადამიანი მოშორებულია საყრდენს და თავისუფლად ვარდება, იგი ჰკარგავს სიმძიმეს. მაგრამ ეს არ აყენებს ზიანს სხეულის არც ერთ ფუნქციას: სუნთქვას, სისხლის მოძრაობას და სხვ.

— ამაზე მეტი ზიანი-ღა შეიძლება? — წამოიძახა დინგვეიმ, რომელიც მთელი ამ საუბრის დროს ამაოდ ცდილობდა როგორმე მიმაგრებულიყო სავარძელს და საცოდავად ფამფალებდა ფეხებ-აშვერილი. უცბად როგორღაც უხერხულად დაჰკრა ფეხი იატაკს იმ დროს, როცა სავარძელს ხელები მოაშორა, და დინგვეი ჰაერში აცურდა. კამარელმა ცალი ხელი მიაშველა და ფანჯრის ახლო ჰაერში გააჩერა. შემდეგ ხელი გაუშვა და უთხრა:

— გაშალეთ ხელები, ფეხები, როგორც გნებავდეთ, და მოისვენეთ. სიმძიმის უქონლობის გამო ჰაერში დაკიდებულიც ისევე მოისვენებთ, როგორც მსუბუქ საწოლზე. თავი გინდ მაღლა დაიჭირეთ, გინ დაბლა: აქ არ არსებობს „ზევით“ და „ქვევით“, ვინაიდან არ არსებობს სიმძიმის ცენტრი, რომელიც საზღვრავს მიმართულებას.

დინგვეი ჰაერში გაშეშდა თავდაღმა.

— მართლაც მოსვენებითა ვარ, — სთქვა მან.—რად ვწვალობდი ამდენ ხანს სავარძელთან?

— როგორც ჩანს, პლანეტთაშორისი ფრენისთვის ზედმეტი ბარგი ყოფილა სკამი, მაგიდა, საწოლი და სხვა ავეჯი, — შენიშნა ბრიანმა, ამოიღო ჯიბიდან პორტსიგარი, გახსნა, ერთი სიგარა პირში ჩაიდო და გახსნილი პორტსიგარი ჰაერში დასტოვა.

— მიირთვით, — შესთავაზა სხვებსაც.

კამარელმა ერთი სიგარა ამოიღო და პორტსიგარი თავქვე გადმოაბრუნა.

— ნახეთ, თუ საოცრება არ არის! — დაიძახა ჰაერში უძრავად დაკიდებულმა დინგვეიმ. — სიგარები არ ცვივა.

ბრიანი-კი ამ დროს ასანთს ასანთზე ანთებდა, მაგრამ სიგარას ცეცხლი ვერ მოუკიდა: ასანთი ვერ ასწრებდა ანთებას, მყისვე ქრებოდა.

— რა დაემართა, ნეტა, ამ ასანთს? — ბუზღუნებდა იგი და ჰაერში ისროდა ასანთის ღეროებს, რომელნიც უფრთო მწერებივით ნელი კანკალით მიედინებოდენ კედლისაკენ.

— ალი ქრება საკუთარი წვის პროდუქტებისაგან, — შენიშნა კამარელმა. — ცხელი ნახშირმჟავა, რომელიც გამოიყოფა წვის დროს, უფრო მჩატეა, ვინემ მის გარშემო ჰაერი და ჩვეულებრივი სიმძიმის არეში უმალ ზევით მიილტვის და მის ადგილს მჟავბადი იჭერს, ამნაირად ალი საზრდოობს. მაგრამ აქ სიმძიმე არ არის და ნახშირმჟავა იქვე რჩება, სადაც ჩნდება. გარს ეკვრის ალს, არ უშვებს მასთან მჟავბადს და ალიც ქრება. შეუბერე და ხელოვნურად მოაშორე ალს ნახშირმჟავა.

ბრიანმა კიდევ აანთო ასანთი, მაკდონალდმა ნელა შეუბერა და მართლაც სიგარას მოეკიდა.

ამ დროს დინგვეიმ ფანჯრის ოვალურ ჩარჩოს ხელი ჩასჭიდა და ფანჯრისაკენ მიიწია. გაიხედა ფანჯარაში თუ არა საშინლად დაიღრიალა:

— ვაიმე, მიშველეთ, სადა ვართ!

ფანჯრიდან ჩანდა განათებული დედამიწის უზარმაზარი ბურთი „რაუნიტს“ იმდენად დაშორებული, რომ დინგვეის გონებაში დაუძლეველი სევდა ჩაეღვარა და გული წაუვიდა.

— წყალი, წყალი! — დაიძახა ბრიანმა, წაავლო ცალი ხელი დინგვეის და ძირს დასწია.

გულწასულს თვალები დახუჭოდა და ტუჩები უთრთოდა.

— მე მაქვს წვეთები, — სთქვა მაკდონალდმა და საჩქაროთ გახსნა თავისი ჩემოდანი. ამოიღო ყავისფერ-სითხიანი პატარა შუშა და წვეთის სასმელი ჭიქა.

— დამიკავეთ ჭიქა. — მიმართა კამარელს.

— დადგით ჰაერზე, დაჭერა რად უნდა.

— ჰო, დამავიწყდა. — და მაკდონალდმა ჭიქა ჰაერში გააჩერა, მოხსნა შუშას თავსაცობი და ნელა დახარა ჭიქის თავზე, რომ წვეთები დაეთვალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრი ატრიალა, მაგრამ შუშიდან წვეთები არ იღვრებოდა. შუშა თვალებთან ახლო მიიტანა და გაჰხედა.

— რა დაემართა, ნეტა, ხომ არ შედედდა?

სითხე ჩვეულებრივად კამკამებდა შუშაში.

— რაც უნდა მოსვლოდა. — უპასუხა ადგას? — სთქვა კამარელმა. — შუშას ფსკერზე ხელი დაარტყით და სითხეც წამოვა.

მაკდონალდმა სამჯერ თითი დაჰკრა შუშის ფსკერს და იმ წამსვე შუშიდან ამოიბურთა ყავისფერი სითხე, კაკლის ოდენა ბუშტივით ამოგორდა და იატაკისკენ თრთოლით დაეშვა. მოხვდა თუ არა იატაკს მაშინვე რგოლივით გაიშალა და ზედ შეეწოვა.

— ეს რა მოუვიდა? — გაუკვირთა მაკდონალდს.

— რაც უნდა მოსვლოდა. — უპასუხა კამარელმა. — სიმძიმეს მოკლებულ სივრცეში თავისუფლად მიშვებული სითხე სფერულ ფორმას იღებს. რაიმე სხეულს თუ მოხვდა, თუ ის გაქონილი არ არის, ზედ შეეწოვება.

— ჩვენი საშველი არ ყოფილა და ისაა! — სასოწარკვეთილებით წარმოსთქვა მაკდონალდმა და ცარიელი შუშა გადააგდო.

შუშა კედელს მოხვდა და ისევ მაკდონალდს დაუბრუნდა.

ამასობაში დინგვეი თითონ მოვიდა ცნობაზე და თვალები გაახილა.

— წყალი! — ძლივ გასაგონად ამოიხავლა.

...ნმა მაგიდაზე შენიშნა წყლით სავსე გრაფინი, ლითონის სალტეში ჩასმული. ამოაძრო ბუდიდან, მოხადა საცობი და ქვევიდან ხელი ჰკრა.

გრაფინიდან ნელ-ნელა ამოიბუშტა რაც შიგ წყალი იყო ერთ ვეება წვეთად და რხევითა და ციმციმით აცურდა ჰაერში.

— ვინ დაიჭერს ახლა ამ წყლის ბურთს, რომ ავადმყოფს პირი დავუსველოთ? — შეწუხდა მაკდონალდი.

— კიდეც რომ დაიჭიროთ, არაფერი გამოვა, — სთქვა კამარელმა. — ასეთი ბურთის ჩაყლაპვა არც ისე ადვილია.

— მაშ ჩვენ აქ წყალი ველარ დაგვილევია! — გაბრაზდა მაკდონალდი.

— აქ ამისთვის სხვაგვარი ხერხია საჭირო ღვინო ხომ არავის გაქვს? — იკითხა კამარელმა.

— მე მაქვს. — და ბრიანი თავის კაბინში გაცოცდა და ერთი ბოთლი ფრანგული „ბორდო" შემოიტანა, საცობი ამოაძრო და კამარელს გადასცა.

კამარელმა ჯიბიდან ამოიღო სათუთუნე მუნდშტუკი და დინგვეის პირში ჩაუდო. ...ვრე ღვინიანი ბოთლი მუნდშტუკის მეორე ბოლოს ზედ დაამხო.

— მოსწოვეთ. — უთხრა დინგვეის და ბოთლს ხელი გაუშვა. როცა საკმაო შესვა, ბოთლი მოაშორა და მუნდშტუკიც პირიდან ამოაძრო.

დინგვეი ღვინომ ჯანზე მოიყვანა და ჭამის მადა გაუხსნა.

— ფანჯარასთან მდგარს მე ამის მეტად ველარ მნახავთ, — სთქვა მან და მოაჯირს მოჰკიდა ხელი.

— ნუ ღელავთ, დაისვენეთ. — უთხრა კამარელმა. — ყველაფერს შევეჩვევით. საშიში აქ არაფერია.

— მართალი ხართ. ეხლა კარგად ვგრძნობ თავს. წარმოიდგინეთ, მომშივდა კიდეც.

— კუჭი თავის ჩვეულებას უჩვეულო პირობებშიაც არ იშლის. — შენიშნა მაკდონალდმა და უეცრად იკითხა:

— ელექტრონი ხომ მოქმედობს აქ ჩვეულებრივად?

— ისევე როგორც დედამიწაზე, — მიუგო კამარელმა.

— მადლობა ღმერთს, — წამოიძახა ბრიანმა. — მაგრამ საიდან არის იმდენი ენერგია ამ ხომალდზე, რომ თუ ყველაფერს ის ლურჯი კოლოფი ამოძრავებს?

— ენერგია აქ გამოულეველია, — მიუგო კამარელმა, — ლურჯი კოლოფი ხომ ატომის უსაზომო ენერგიის შეკუმშული რეზერვუარია, ულევი და საწყაო-მიუდგომელი. მაგრამ სითბოსა და ელექტრონს ხომალდი ღებულობს მზის სხივებისაგან განსაკუთრებული მოწყობილობის მეოხებით. აქ ხომ მზე განუწყვეტლად ანათებს, ვინაიდან აქ „ღამე" არ არის და არც ღრუბელი ეფარება მას.

— მაშ არც ისე ცუდათ ყოფილა ჩვენი საქმე, — წამოიძახა მაკდონალდმა, — მე თან მომაქვს ყოველ შემთხვევისათვის, ელექტრონის სამზარეულო, თუ აქ სადმე შტეპსელს ვიპოვით, — და კაბინს ირგვლივ თვალი მოავლო. — აგერ, მაგიდასთან ზარეთ ერთად.

მაკდონალდი ისევ თავის ჩემოდანს მიუბრუნდა. ამოალაგა ელქტრონის სამზარეულო, ტაფა, საყავე, კონსერვები და სხვ. სანოვაგე და დიდი სიფრთხილით, რომ პატარა ბიძგის ან შებერვისაგან ჰაერში არ აფრენილიყო ყველაფერი, უსუნთქავად დააწყო მაგიდაზე და შეუდგა საუზმის მზადებას. თუმცა სულ ერთი იყო მაგიდაზე „დააწყობდა" სანოვაგეს თუ ჰაერზე, მაინც ფსიქოლოგიურად უფრო ჩვეულებრივი და ბუნებრივი იყო მაგიდასთან მუშაობა.

— ისეთი საზიზღრობა სუკი მაქვს ტფილისიდან წამოღებული, რომ მოგეწონებათ. — ამბობდა დიდი ბრიტანეთის პრემიერთა მზარეულის რჩევით გატაცებული დიდ ფაცა-ფუცში იყო.

ქვაბზე კარაქი აშიშხუნდა. „მზარეულობა" ზედ სუკის ნაჭერი დასვა. მაგრამ იმავ წამს კარაქის მჩქეფარემ ორთქლმა სუკი ჭერისაკენ აგდო.

ბრიანი, რომელიც ჩამოკიდებული ...

შეიძლება უჩვევ მდგომარეობას, გამოეკიდა გაცურებულ ბიფშტექსს, დაიჭირა. კვლავ ტაფაზე მოათავსა და ზედ თეფში დაახურა.

— თეფშს თითი დააჭირეთ, — ურჩია კამარელმა, — და ვიდრე ხორცი არ შეიწვება ხელი არ შეუშვათ.

მაკდონალდმა თეფშს თითი დააჭირა. მაგრამ მაშინვე იატაკს მოშორდა და გრძელი თეხები ჰაერში გაიშხლართა.

კამარელმა ხელი სტაცა უხეირო მზარეულს, ძირს დასწია, ოდნავ ჩემოდანის ღვედი და მარჯვენა ფეხით მაგიდის ფეხზე მიაკრა.

— გიშველოთ ღმერთმა! — წამოიძახა მაკდონალდმა და უფრო იმედიანად და თავისუფლად შეუდგა თავის ახალი მოვალეობის შესრულებას.

დიდის წვალებით, მაგრამ როგორც იყო სუკი შეიწვა და მგზავრები შეექცნენ უცნაურ საუზმეს.

დინგვეიმ ცხვირსახოცით მაგიდის მეორე ფეხზე მიიმაგრა თავისი აფარფატებული სხეული და ამგვარად მოიპოვა წონასწორობა. კამარელი და ბრიანი კი, ეკლესიის გუმბათზე მიხატული მოციქულივით, ჰერ ჭვეშ იყვნენ გაწოლილნი და ისე მიირთმევდნენ სუკის ნაჭერს.

მაკდონალდი ახლა ყავის სამზადისს შეუდგა. დინგვეიმ თავის კაბინეტიდან წყლით სავსე გრაფინი გამოიტანა და ბუშტი დიდი წვალებით ჩასვეს საყავეში. მაგრამ აქაც ჩვენს მზარეულს მარცხი შეემთხვა: საყავის ირგვლივ მოედო წყლის თხელი შრე, ნაპირებიდან გადმოეფინა და მაგიდაზე გაიშალა.

— საყავის კიდეურს კარაქი წაუსვით და წყალი არ გადმოვა, — ურჩია კამარელმა

— გადმოვიდა და ეგ არის, კი აღარაფერი დარჩა შიგ, — ბუზღუნებდა მაკდონალდი.

წყალი ბრიანმა კაბინეტიდან მოიტანეს, საყავის გაქონილმა ნაპირებმა წყლის ბუშტი შიგ დააკავა და ცხელი ყავის დალევის იმედი ისევ გაცოცხლდა.

მაგრამ გავიდა საკმაოდ დიდი დრო და საყავე დუღილს არ აპირებდა. არა თუ დუღილს, წყლის ოდნავ გათბობასაც ვერ ელოდა გაოცებული მზარეული და ისევ აბუზღუნდა.

— ღუმელი ცხელია, საყავის ფსკერიც გავარვარებულია, და წყალი რად არ დუღდება?

— ადუღდება, მაგრამ დიდი ხანი გაივლის, — სთქვა კამარელმა.

— როდის-და? ხვალამდე ხომ ვერ დაველოდებით?

— შესაძლოა ხვალაც არ ადუღდეს, — თუმცა არ ვიცი, რას ნიშნავს „ხვალ" იქ სადაც არც დღეა და არც ღამე.

— მაინც რა მოუვიდა წყალს, რომ სითბოს არ იკარებს?

— სიმძიმე დაკარგა.



ნატახტარის წყალის მილის გაყვანა გრძელდება ტფილისში. დღე და ღამის წყალის მარაგის სარეგულიაციო აუზი შენდება ლენრაიონში, აუზი დაიტევს ნახევარ მილიონ ვედრა წყალს.

— სიმძიმე რა შუაშია?—ჩაერია დინგვეი.

— მოიგონეთ,—სთქვა კამარელმა,—როგორ დუღდება წყალი ჩვეულებრივ პირობებში: გახურებულ ფსკერიდან ცხელი წყალი ზევით იწევს, როგორც უფრო მსუბუქი, მის ადგილს ცივი წყალი იჭერს. ვიდრე გათბებოდეს, რომ შემდეგ ისევ მაღლა ავარდეს. ამგვარად თბილი და ცივი წყალი ერთიმეორეს ცვლის, ჩქარა ცხელდება და იწყებს დუღილს. აქ კი ცხელი წყალი ფსკერზე რჩება და ზედა ცივი ნაწილი შეიძლება გათბეს მხოლოდ სითბოგამტარობის მეოხებით. სითბოგამტარობა კი წყალს ძალიან მცირე აქვს. ჩვენ პირობებშიაც ქვაბს, რომ ცეცხლი ზევიდან ხუფზე დაუნთო, ასევე გვიან ადუღდება წყალი.

— ჰაერიც ცუდი გამტარია სითბოსი. როგორღა თბება კაბინი?—შენიშნა მაკდონალდმა.

— დააკვირდით ამ კედელს,—მიუგო კამარელმა და ზევიდან გადმოხედა ფანჯრიან კედელს—მაგრამ ჯერ შეგეკითხებით: რითია გაკრული, თქვენი აზრით, კაბინის კედელი?

— ხავერდით, ან მის მაგვარი ქსოვილით,—უპასუხა ბრიანმა.

— მეც ასე მეგონა პირველად, მაგრამ აბა შეახეთ ხელი.—ეგ მომწვანო ხავერდი ჩვენთვის უცნობი ლითონია, რომელიც ელქტრონის სითბოს ავრცელებს. მაგრამ თბილი ჰაერი კედლებს არ მოშორდებოდა, და კაბინი დიდხანს არ გათბებოდა, ფანჯრის მხარეზე განსაკუთრებული აპარატი, რომ არ იყოს მოწყობილი კედელზე. ხომ ხედავთ მთელი კედლის გასწვრივ კარნიზივით გაყოლებულ სრიალას. მისი ტრიალი იწვევს ჰაერის შეუმჩნევლად მოძრაობას და თბილი ჰაერი განუწყვეტლივ სცილდება კედლებს და ათბობს მთელ კაბინს.

მგზავრებმა მხოლოდ ახლა შენიშნეს ყველაფერი ის, რაზედაც კამარელი მოუთხრობდა. სრიალას ზემოთ კუთხეში ორი რაღაც პატარა მანქანა მოძრაობდა კიდევ.

— ეს რაღა მანქანებია?—იკითხა დინგვეიმ.

— მარცხნივ რომ არის—მეავბადით ჰკვებავს ჰაერს, მარჯვნივ—ჰაერს სწმენდს, ნახშირმჟავას ისრუტავს.

მაკდონალდმა ყავა რომ ველარ აადუღა, თავი დაანება საყავეს.

— ღვინო მაინც დავლიოთ,— სთქვა მან და „ბორდოს“ წაავლო ხელი.

მეუნდმტუკით რიგ-რიგობით „მოსწიეს“ ღვინო და „წამოწვენ“ დასასვენებლად.

— თქვენ დღეს ჩემი სტუმრები ხართ,—მიმართა მაკდონალდმა კაბინში მყოფთ,—რადგანაც ჩემს ოთახში ისვენებთ. ბოდიშს ვიხდი, რომ უკეთ ვერ მოგისვენეთ... შეჰყვეს თუ არა, ფეხზე ლვედი შეიხსნა და ჰაერში გაიშოტა. დინგვეიმ ლვეხი გაიხთავისუფლა და მაკდონალდს ქვემოთ თავადმა დაიკიდა.

კამარელი და ბრიანი ჰერთან ოდნავ ქანაობდენ. ბრიანს თითქოს ჩასძინებოდა, ხოლო ჩაფიქრებული კამარელი ფანჯრიდან სივრცეს გასცქეროდა.

უცნაური „ცა მოსჩანდა. სამყაროს წყვდიად ღამეში მზე ანათებდა, მაგრამ ბნელ ცას სინათლე არ ეფინებოდა. ახლად დაფერილივით ბრჭყვიალებდენ სხივგაყინული ვარსკვლავები, დედამიწა—კი ბრწყინავდა როგორც უზარმაზარი დისკო თეთრად ასხივებული პოლიუსით. მთვარე თეთრმუქიანი ფანარივით წინ მიუძღოდა მას სამყაროს ბნელ უდაბნოში. ოკეანეთა მუქ სივრცეზე ნათელ ლაქად ელავდა ხმელეთის ნაწილები. ძლივს ირჩეოდა ციმბირის თოვლიანი ველი და კავკასიონის თეთრი ქედი. კამარელის ფიქრი თავს დასტრიალებდა, ამჟამად ცის მანათობელ სხეულად გადაქცეულ დედამიწას, კაცობრიობის სისხლითა და ცრემლით, ნაღველითა და იმედით დატვირთულ ხომალდს....

# მორგანის კერძო ბანკი

## ჯონ გოლდხილდი

პირად მცველთა რაზმმა, შემდგარმა ორმოცი კაცისაგან, წინასწარ დაათვალიერა შენობა. მათ შემდეგ გამოჩნდნენ მხლებლები: კომპანიონები და ადვოკატების გუნდი ლონდონში ამერიკის ყოფილ ელჩის ჯონ დევისის მეთაურობით, დაბოლოს, „თვით“ ჯონ პირპონტ მორგან უმცროსი, კერძო საბანკო ფირმის „მორგანი და კომპ.“ მეთაური. ასე მოხდა მორგანის პირველი გამოჩენა სენატის კომისიის წინაშე, რომელიც დანიშნული იყო კერძო ბანკების ბორტომოქმედებათა გამოსაკვლევად.

მორგანის იმპერია უდიდესია. არ არის მრეწველობის არც ერთი დარგი, რომელიც არ იმყოფება მორგანის კონტროლის ქვეშ. მორგანის ფირმის გამგეობის 20 წევრს ეკუთვნის 219 ხმა ხელმძღვანელ ბაკების (გარდა მორგანის ბანკისა) გამგეობებში, 215—დამზღვევ საზოგადოებებში, 425—სამთო და სამრეწველო წარმოებებში, 423—სატრანსპორტო კომპანიებში, 318—საზოგადოებრივი სარგებლობის საწარმოებში (ტრამვაი, ტელეფონი და სხვ.) და 642 ხმა სხვა დანარჩენ საწარმოებში. „ლეიბორ რისერჩ ასსოშიეშენ“-ის ცნობებით, იმ საწარმოების კაპიტალი, რომლებიც მორგანის ბანკის კონტროლის ქვეშ იმყოფება და მასთან დაკავშირებული ბანკების და ტრესტების კაპიტალი უდრის 100 მილიარდ დოლარს, ე. ი. აღემატება შეერთებული შტატების ნაციონალური სიმდიდრის ერთ მესამედს. მორგანის ფირმა მჭიდროდ არის დაკავშირებული უდიდეს ტრესტებთან, რომლებიც ბრძოლას აწარმოებენ მსოფლიო ბატონობისათვის. ასე, მაგალითად, მორგანთან მჭიდროდ დაკავშირებული ფირმა „ჯენერალ ელექტრიკ“ უშუალოდ არის დაკავშირებული ელექტრო-ტრესტთან „ჯენერალ ელექტრიკ ოფ კანადა“, რომელიც კონტროლს უკეთებს „ინტერნეიშენელ ჯენერალ ელექტრიკ“-ს. მეორეს მხრივ, „ჯენერალ ელექტრიკ“-ის მიერ, მოწყობილი „ელექტრიკ ბონდ ენდ შეარი“, თავისი დამხმარე საწარმოს „ამერიკენ ენდ ფორეინ პაუერ“-ის საშუალებით კონტროლს უკეთებს ოცი ქვეყნის ელექტრო-სამეურნეო საწარმოებს.

საერთაშორისო სატელეგრაფო და სატელეფონო კომპანია, დაკავშირებული მორგანის ფირმასთან, კონტროლს უკეთებს საწარმოებს, რომლებიც ამზადებენ კაბელებს, ტელეგრაფ-ტელეფონისა და ელექტრო-მოწყობილობას ოცი ქვეყანაში. მექსიკის ნავთი, ბოლივიის კალა, ჩილის გვარჯილა (გიეგენგეიმის საშუალებით), პერუსა და ჩილის სპილენძი—ყველაფერი ეს მორგანის ფირმის ხელშია პირდაპირ თუ არაპირდაპირ. და, დაბოლოს, საერთაშორისო ფულის ბაზარი, რომელზედაც ლონდონის სიტიმ ადგილი დაუთმო ნიუ-იორკის ულსტრიტს, სადაც სახლში № 23 იმყოფება ბანკირთა მეფის ჯ. პ. მორგანის „საქმიანი რეზიდენცია“.

მორგანის ფირმის ისტორია—ეს არის ფინანსიური კაპიტალის განვითარების მონოპოლიზის, ზრდის ისტორია, ეს არის ამერიკის იმპერიალიზმის მატიანე, მორგანის ფირმის წარმატების საიდუმლოება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის ყოველთვის „ცეხდაფეხ მიჰყვებოდა საუკუნეს“.

უკვე ახლანდელი მორგანის ბაბუა იყო დიდი ბანკირი, დაკავშირებული უმთავრესად ლონდონის ფულის ბაზართან. ჯუნიეს მორგანი გამდიდრდა ჩრდილოეთისა და სამხრეთის შორის დაწყებული სამოქალაქო ომის დროს. მაგრამ მორგანის ფირმის ძლევამოსილებას საძირკველი ჩაუყარა ახლანდელი მორგანის მამამ—ჯ. პ. მორგან უფროსმა ანუ, როგორც მას უწოდებდნენ „პიერპონ ბრწყინვალემ“. თავდაპირველად არც ისე გამოჩენილი ბანკირი, რომელიც გამდიდრდა აქციების და ობლიგაციების რეალიზაციით ევროპაში, უმთავრესად ლონდონში, იგი მაკლერიდან გადაიქცა რკინის გზის მაგნატად და ფოლადის მეფედ. 1900 წ. მის ხელში იყო რკინიგზები 30.717 კილომეტრის სიგრძით.

უკონტროლო თარეშმა რკინიგზებზე და მისწრაფებამ მათი კონცენტრაციისკენ თავის ხელში, მორგანი მიიყვანა შეტაკებამდე მაშინდელ პრეზიდენტ ტეოდორ რუზველტთან, თუმცა თეთრ სახლთან შეტაკებიდან მორგანი გამარჯვებული გამოვიდა, მაგრამ მაინც იძულებული გახდა მანევრი გაეკეთებია, მაგრამ სრულ რევანშს მორგანმა მიაღ-



მთელი იმ დროის განმავლობაში ვიდრე ქვეყნდებოდა სია იმ პირთა, რომლებიც ფულს იღებენ მორგანისაგან—მორგანი სიცილით კვდებოდა.

წია მხოლოდ 1907 წელს, როცა პანიკამ იფეთქა ბირჟაზე. მთავრობამ მუხლმოდრეკით სთხოვა მორგანს ეკისრა ბრძოლა პანიკასთან და გაკოტრებათა ტალღასთან.

თუ როგორ „შველოდა" მორგანი ბანკებსა და ტრესტებს, ჩანს შემდეგი ფაქტებიდან. მორგანმა მოახდინა უდიდესი ფულადი სახსრების მობილიზაცია, მთავრობამ მის ბანკებში პროცენტების დაურიცხავად შეიტანა 42 მილიონი დოლარი... დახმარებას იღებდნენ... მორგანის ფირმასთან დაკავშირებული საწარმოები. უფრო წვრილი ტრესტები და კომპანიები დახმარებას არ იღებდნენ. როცა მსხვილი საკრედიტო საზოგადოების „ამერიკენ ტრესტ კომპანი"-ს დირექტორი მივიდა მორგანთან დახმარებისათვის, მორგანმა უპასუხა: ამგვარი საზოგადოებები ბევრია, ისინი უნდა მოისპოს".

საერთოდ ტეოდორ რუზველტის „ბრძოლას" მორგანთან რამდენიმედ უცნაური ხასიათი ჰქონდა. გაცილებით უფრო რეალური იყო მათი თანამშრომლობა ამერიკის იმპერიალიზმის მიზნების განხორციელებაში.

პანამაში ამერიკის გავლენის განმტკიცების შემდეგ რუზველტმა მორგანი დანიშნა პანამის რესპუბლიკის ფინანსიურ მრჩევლად. 10 მილიონი დოლარიდან, რომელიც შეერთ. შტატებმა აუსხა პანამას, მორგანმა უკანასკნელს მისცა მხოლოდ 4 მილიონი დოლარი, 6 მილიონი კი თავისთან დაიტოვა, ვითომცდა უძრავ ქონებაში დაბანდების საბაბით. როცა ამერიკის იმპერიალიზმი გაეშურა შორეულ აღმოსავლეთში, ჩინეთში, მორგანის ფირმამ ხელში ჩაიგდო კონტროლი ამერიკა-ჩინეთის საექსპლოატაციო კომპანიაზე.

შეუძლებელია მორგანის ფირმის ყველა „საგმირო საქმეების" ჩამოთვლა. მაგრამ ზემოთმოყვანილიც ამტკიცებს, თუ როგორ სწორად ასახავდა მორგანის ფირმა ამერიკის იმპერიალიზმის განვითარებას. ბუნებრივია, რომ უდიდესი აყვავება და ძლიერება მორგანის ფირმას მოუტანა 1914—18 წ. წ. ომმა. მორგანებს ყოველთვის უყვარდათ ომი, მართალია, თავისებური სიყვარულით. უკვე ახლანდელი მორგანის ბაბუა „პატიოსნათ" ისქელებდა ჯიბეს ჩრდილოეთისა და სამხრეთის ომზე. „ბრწყინვალების" გზაზე დამდგარი მამა ახლანდელი მორგანისა, ფინანსებს აწვდიდა ინგლისის ომს ბურებთან და ზედიზედ გაასაღა ინგლისის სესხები 15, 28, 100 და 89 მილიონი დოლარის რაოდენობით.

მაგრამ მსოფლიო ომის დროს ახლანდელმა „ჯეპიმ"—ჯ. პ. მორგანმა ბაბუასაც აჯობა და მამასაც. 1915 წ. მორგანის ფირმა მოახდინა ანტანტის 500 მილ. დოლარიან სესხის რეალიზაცია. მთელ ამ ფულით მორგანის საწარმოებში შეძენილი იქნა... მოახდინა ანტანტის 500 მილ. დოროგორი იყო ბრუნვა და მოგება, ჩანს თუნდაც იქედან, რომ მორგანის კონტროლის ქვეშ მყოფმა ფოლადის ტრესტმა 1916 წ. 272 მილიონი დოლარი მოიგო.

როგორ ახორციელებს მორგანის ფირმა თავის ბატონობას?

ამ საქმეს რამდენიმედ ნათელს ფენს გამოძიება. მორგანის სამსახურში აღმოჩნდნენ ყველა მაღალი მოხელეები, განურჩევლად პარტიულობისა. მათ შორის არის ჯონ რესკობიც, დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე, და რესპუბლიკანელი ყოფ. ვიცე-პრეზიდენტი დაუესი, ყოფილი პრეზიდენტი, ჩუმი და წყნარი კულიჯიც, ჰუვერის „ახლო მეგობარი".

მორგანის ფირმა ყოველთვის სახელგანთქმული იყო იმით, რომ მისი კომბინაციები საიდუმლოებით იყო მოცული. როგორც ჩანს, საიდუმლოების და დუმილის დაცვას მოელოდნენ ამჟამადაც. მაგრამ ჯ. პ. მორგანმა არ გაამართლა მოლოდინი, მან ღიმილით უამბო კომისიას, თუ როგორ ვაჭრობდა იგი არა მარტო აქციებით, არამედ ადამიანთა სინდისითაც. არაფერ სამარცხვინოს ამაში ის არ ხედავს. ერთ რა-



ისენი იღებენ ფულს მორგანისაგან. მარცხნიდან მარჯვ. 1. საჰაერო ფლოტის უფროსი მფრინავი ლუნდბერგი, 2. რუზველტის ემისარი ევროპაში—ნორმან დევისი. 3. დაუესის გეგმის ავტორი ჩარლზ დაუესი ბანკის „ჩეიზ ნეიშენ"-ის დირექტორი მიტჩელი.

მეზე არაფერს ამბობს ის მხოლოდ—მოგეთაპარაკს გაურბის ძლიერ.

სენატორი გლასი, უკმაყოფილო გამოძიებით და ფინანსიური ოლიგარქიის საშინაო ამბების გამომჟღავნებით, მთელს დაკითხვას „ცირკის წარმოდგენას" უწოდებს. მაგრამ მაინც მორგანის დაკითხვა საგულისხმო მოვლენაა. იგი წარმოადგენს არა მარტო მშრომელთა, არამედ აგრეთვე კრიზისით წელგატეხილ, ფინანსიური მაგნატების მიერ გაძარცულ წვრილბურჟუაზიული მასების უკმაყოფილების ანარეკლს.

გამოძიების მიერ გამომჟღავნებულმა ფაქტებმა უნდა შექმნას შთაბეჭდილება, თითქო მთავრობა ებრძვის ფინანსიურ მაგნატებს. ახლანდელი „იერიში" მორგანის წინააღმდეგ წააგავს ძველ „ბრძოლას" გახსენებულ ტეოდორ რუზველტსა და მორგან ბრწყინვალეს შორის. მანაც გაიარა უამრავი დაკითხვები და გამოძიება პირველი რუზველტის დროს.

## ბანკირის დაკითხვა

პეკორას (გამომძიებელი) პირველ კითხვებზე მორგანი უპასუხებს, რომ ის არის კერძო ბანკირი და მონაწილე ფირმისა ჯ. პ. მორგანი და კომპ. ნიუ-იორკში და დრექსელისა და კომპ. ფირმის ფილადელფიაში, რომლებიც შეადგენენ ერთ ფირმას და აგრეთვე უცხოეთის ორი ფირმისა — „მორგანი, გრენფელი და კომპ" ლონდონში (გრენფელი არის ინგლისის ბანკის ერთ-ერთი დირექტორი) და „მორგანი და კომპ." პარიზში. ფირმა ჯონ პ. მორგანი და კომპ. არსებობს 1894 წლიდან.

დაკითხვის წინ მორგანმა გამოსთქვა თავისი შეხედულებები კერძო საბანკო ფირმების როლსა და მნიშვნელობაზე. თავის განცხადებაში ის სხვათაშორის ამბობს:

„კერძო საბანკო ფირმა არ არის ვალდებული. დაემორჩილოს მთავრობის გახსაკუთრებულ ვალდებულებებს, ის სარგებლობს მოქმედების რამდენიმედ მეტი თავისუფლებით, კერძო ბანკირი მისდევს პროფესიას, რომელიც საშუალო საუკუნეებიდან არსებობს. „ჩვენ ვღებულობთ ანაბარებს მსურველებისაგან,—სთქვა მან,—ხანგამოშვებით ვასაღებთ ბაზარზე ფასიან ქაღალდებს. ვყიდულობთ და ვყიდით ვალიუტას. ვიღებთ დავალებებს ოპერაციებისათვის საფონდო ბირჟაზე. ერთი სიტყვით ვასრულებთ ყველაფერს, რასაც აკეთებენ ჩვეულებრივი ბანკები".

**პეკორა.**—რამდენი პირისაგან შესდგება ამჟამად ფირმა ჯ. პ. მორგანი და კომპ.?

**მორგანი.**—ამ კითხვაზე ძნელია პასუხის მიცემა. მგონი ოცისაგან. თქვენ გაქვთ სია. მგონი ოცისაგან.

**პეკორა.**—არსებობს თუ არა ფირმის წერილობითი ხელშეკრულება? და განსაზ-



გამომძიებელი პეკორა მოწიწებით ართმევს ხელს დასაკითხავად გამოწვეულ მორგანს.

ღვრულია, თუ არა მასში თითეული მონაწილის უფლებები და ინტერესები?

**მორგანი.**—დიახ, არსებობს.

**პეკორა.**—ხომ არ გაქვთ თან ამ ხელშეკრულების ასლი, მისტერ მორგან?

**მორგანი.**—არა.

— ხომ არაფერი საწინააღმდეგო გაქვთ იმის, რომ წარუდგინოთ კომისიას ფირმის



ესენიც იღებენ ფულს მორგანისაგან. მარცხ. მარჯვ. 1. დემოკრატ. პარტიის ლიდერი-რესკობი, 2. ამერიკის არმიის სარდალი მსოფლიო ომის დროს, გენერალი პერშინგი, 3, შეერთ. შტატების გამოჩენილი ფინანს. ექსპერტი—ოუკენ იუნგი, 4. ფინანსთა მინისტრი ვუდინი.

ხელშეკრულება?—ეკითხება სენატორი ჩე-ინელდსი.

— მე ვამჯობინებდი არ წარმოვადგინო ივი,—უპასუხებს მორგანი.

— თქვენი ფირმის მონაწილეები კრებებს და თათბირებს განსაზღვრულ დროში მართავენ?

— ყოველდღიურად, გარდა შაბათისა.

— სწარმოებს, თუ არა ამ სხდომების რაიმე ოქმები.

— არა.

პეკორა.—ეს ყოველთვის ასე იყო?

მორგანი.—ყოველთვის.

პეკორა.—მანამდე სწარმოებდა რაიმე ოქმები?

მორგანი.—მანამდე ჩვენ არ გვქონებია თათბირები.

პეკორა.—თანამდებობანი ჯ. პ. მორგანის და კომ. ფირმაში განაწილებულია?

მორგანი.—ოფიციალურად—არა.

პეკორა.—არაოფიციალურად?

მორგანი.— არაოფიციალურადაც არა. როცა რაიმე საკითხი წამოიჭრება, მის გადაჭრას კისრულობს ჩვენგან ის, ვინც ამაში კომპეტენტურია.

პეკორა.—მაშ რა საკითხებს სწყვეტენ ცალკე მონაწილენი ამ არაოფიციალური შეთანხმების საფუძველზე?

მორგანი.—მათი წამოჭრის მიხედვით.

პეკორა.—მაგალითად, თქვენ,—რა საკითხები გეკისრებათ?

მორგანი.—უფრო ხშირად ამხანაგები, მე თითქმის ჩამოვშორდი საქმეებს.

პეკორა.—აძლევთ თუ არა დირექტივებს პირადათ თქვენ?

მორგანი.—არა, მათ აძლევს ფირმა. ყველაფერი, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, კეთდება ფირმის სახელით. წინათ მე ძლიერ აქტიურად ვმუშაობდი, ახლა კი, მოვხუცდი, მე ვიპოვე ძლიერ კარგი და ძლიერ სასარგებლო კომპანიონები და ისინი აკეთებენ თითქმის ყველა საქმეებს.

სენატორი ბარაკლი—განა თქვე თვლით მისტერ მორგან, იმდენად მოხუცდით, რომ ვადადგეთ?

მორგანი.—თითქმის.

# 110 მილიონი ანაბეჭდი ფურცელი წელიწადში

## დაიწყო „წიგნის სასახლის“ მშენებლობა

სახელმწიფო გამომცემლობის მუშაობა თანდათან ვითარდება და რთულდება. ამ მუშაობის მოცულობა იმდენად გაიზარდა პირველი ხუთწლედის მანძილზე, რომ მეორე ხუთწლედის დამდეგს საჭირო შეიქნა აღძრულიყო საკითხი პოლიგრაფიული ბაზის ძირითადი რეკონსტრუქციის შესახებ. 1937 წლისთვის სახელგამის პროდუქცია სახელწოდებათა მხრივ გაიზრდება 5.000-მდე, ნაცვლად 1932 წლის 1000-სა, ხოლო ტირაჟი, მიმდინარე წლის 6.560.000 ნაცვლად, მიაღწევს 53.451.000 ცალს. მუშაობის ზრდის ამ ტემპებს, რა თქმა უნდა, ვერ უძლებს არსებული პოლიგრაფიული ბაზა, და ამის გარდა სათანადოთ გაზრდილი სარედაქციო და საწარმოო ოპერაციებიც მოითხოვენ შესაფერ სადგომსა და მორთულობას.

სახელგამმა უკვე მიიღო საჭირო ზომები ამ მიზნის განსახორციელებლად. ვერის ხიდთან მდებარე მიწის ნაკვეთზე, რომელიც ერთის მხრით უერთდება მდინარე მტკვარს, ხოლო მეორე მხრით—ქორესის ქუჩას, დაიწყო საქართველოს სახელგამის „წიგნის სასახლის“ მშენებლობა.

„წიგნის სასახლის“ მოცულობა პროექტით ნავარაუდევია 74000 კ. მ-მ., მშენებლობის ღირებულება დაახლოებით 3 მილიონი მანეთი (მოწყობილობის გამოკლებით); პოლიგრაფ-მრეწველობა—2 ნახევ. მილ. მანეთი.

„წიგნის სასახლე“ ერთ-ერთი უდიდესი სახლთაგანი იქნება ტფილისში. შენობის კუთხეს, ხიდის მხრივ მიეცემა მხატვრულ-არქიტექტურული გაფორმება. მტკვრის პირას განზრახულია გაკეთდეს ფართო სანაპირო ქუჩა, საითკენაც იქნება „სასახლის“ შენობის საკლუბო-საზოგადოებრივი ნაწილი ღვსადის მხარეს ექნება 7 სართული ინდუსტრიალური სტილისა.

„წიგნის სასახლეში“ მოთავსებული იქნება სარედაქციო და სამმართველოს აპარატი, პოლიგრაფიული საწარმოები—სტამბები, ცინკოგრაფია, მაშველი სახელოსნოები, საწყობები, ექსპედიცია, ბიბკოლექტორი, პერიოდსექტორი და სხვ.

სტამბების საწარმოო სიმძლავრე განზრახულია წლიურად 110 მილიონ ამონაბეჭდით.

ამავე სასახლეში მოთავსდება მუშა-მოსამსახურეებისათვის სასადილო, რომელიც დღიურად გასცემ ,1500 სადილს, მოეწყობა კინო და დარბაზები: კრებებისათვის—500 კაცის ტევადობით, საკლუბო-საწრეო მუშაობისათვის, ბიბლიოთეკა-სამკითხველოსათვის, ფიზკულტურისა და საბავშო კერისათვის და სხვ. მოეწყობა აგრეთვე ამბულატორია მუშა-მოსამსახურეთა და მათი ოჯახისათვის.

ერთი სიტყვით უნდა აშენდეს ყოველმხრივ შემკული და მოწყობილი უზარმაზარი სასახლე, რომელიც ყოველგვარ მომსახურებას გაუწევს უალრესად გაზრდილ სახელმწიფო გამომცემლობის მუშაობას.

ვინც დაახლოვებულია დღევანდელ სახელგამის მუშაობას, მისთვის ცხადია, რა დიდი გასაქანია ამ მუშაობისათვის მოსალოდნელი ამ სასახლის აშენებით. მწერლების, პედაგოგებისა და ლიტთანამშრომლებისათვის ამჟამად არ არის სამუშაო კაბინეტები, რაც მეტად ხელს უშლის მათი მუშაობის მოწესრიგებას. მომავალ სასახლეში მათთვის მოეწყობა საგანგებო კაბინეტები.

„წიგნის სასახლის“ აშენების მოთავსება ნავარაუდევია 1935 წლისთვის.

თუ შენობისა და პოლიგრაფბაზის მხრივ მეტად ჩამორჩენილ პირობებში, მიუხედავად უამრავი დაბრკოლებისა, სახელგამის პროდუქცია ასე გაიზარდა „წიგნის სასახლის“ აშენების შემდეგ სახელმწიფო გამომცემლობა მიიღებს თავის განვითარებისათვის მძლავრ პოლიგრაფიულ და საწარმოო ბაზას.

### სოციალისტური ქალაქი მთებში



იზრდება მიქოიან—შახარი—ყარაჩაის (ჩრ დიდ. კავკასია) პოლიტიკური და ეკონომიური ცენტრი. 1926 წ. ქალაქში ითვლებოდა 66.000 მცხოვრები. 1932 წ. 99.000 ამჟამად ამ ქალაქში, მთებში, სადაც წინათ არ იყო არც ერთი წერა-კითხვის მცოდნე გახსნილია შვიდწლედი, პედაგოგიური ტექნიკუმი, მუშფაკი, კინო, თეატრი ფოსტა რადიო-სადგური და სხვ.

სურათზე—ქალაქ მიქოიან—შახარის პანორამა.

# ყარა-ყუმელები ტფილისში შემოვიდნენ

ნარკვევი: **პოლიო აბრამია**

1.

„ჩვენ ვხვდებით ლითონის ქვეყნად, ავტომობილიზაციის ქვეყნად, ტრაქტორიზაციის ქვეყნად და როდესაც საბჭოთა კავშირს შევსვამთ ავტომობილზე, ხოლო გლეხს ტრაქტორზე,—დე, მაშინ სცადონ და დაგვეწიონ პატივცემული კაპიტალისტები რომელთაც თავი მოაქვთ თავიანთი „ცივილიზაციით". ჩვენ კიდევ ვნახავთ, თუ რომელი ქვეყანა შეიძლება მივიჩნიოთ ჩამორჩენილად და რომელი მოწინავედ" (სტალინი)

საბჭოთა კავშირის პროლეტარიატმა ხორცი შეასხა ბელადის ამ სიტყვებს.

დღეს საბჭოთა კავშირი მთელ რიგ თავისი ინდუსტრიულ ქალაქებით, გიგანტური ელსადგურებით და კოლმეურნეობებით ტექნიკურად დაწინაურებულ ქვეყნების მოწინავე რიგში დგას.

საბჭოთა კავშირი მრეწველობის როგორც სხვა დარგებში, ისე საავტომობილო მრეწ-



გადარბენის კომანდორი ამხ. მირეცკი

ველობის დარგშიაც ხდება დამოუკიდებელი

საბჭოთა კავშირი უკვე გაბედულად ჯდება ავტომობილზე, გლეხმა კავსა და გუთანს თავი მიანება და ტრაქტორს აგუგუნებს მინდვრებზე.

---

პირველი ხუთწლედის ბრწყინვალე გამარჯვებებით დამთავრების შედეგად ჩვენ მივიღეთ: ამხ. სტალინის სახელობის მოსკოვის საავტომობილო ქარხანა, ამხ. მოლოტოვის სახელობის საავტომობილო ქარხანა და იაროსლავის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანა.

ეს გიგანტები, ეს სიამაყენი საბჭოთა კავშირის მუშათა კლასისა—ჩვენი ეპოქის ეს უკვდავი ძეგლები თავიანთი კონვეიერებიდან დღეში ასეულ მანქანებს უშვებენ.

ამ მანქანებით დღეს მოფენილია საბჭოთა კავშირის უდიდესი ტერიტორია, და თუ მისოდლიოს ხუთი მეექვსედის ყველა გზები დაიპყრეს ფორდის მანქანებმა, ჩქარა შორეულ აღმოსავლეთიდან დუნაის ნაპირებამდე, ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანედან კავკასიონის საუკუნოებით დათოვლილი მწვერვალების გადმოლახვით—შავ ზღვამდე, ყველა გზებს დაიპყრობენ საბჭოთა მანქანები, ალბად ჩქარა, ჩვენი ქვეყნის ყველა სახელმწიფო მნიშვნელობის, საქალაქთაშორისო, ყამირგზებსა და სასოფლო შარაგზებზე გადაიქროლებენ ჩვენი მიწის წიაღიდან ამოღებული ხედლეულით ჩვენს საკუთარ საავტომობილო ქარხნებში დამზადებული საბჭოთა მანქანები.

---

რა ცვლილებაა!

ორთავიანი არწივის ფრთებ ქვეშ გაშლილ იმპერიაში ტირანებიდან დაწყებული უბრალო მოხელემდე საუკუნეთა განმავლობაში თაობები მოდიოდენ „ხოდოკებით" და „კაშოვკებით". „იამშჩიკები" საუკუნეთა განმავლობაში მოახრიალებდნენ ამ ჰისტორიულ რუსულ „ეკიპაჟს" დალლილ ცხენებით. ნელი ტაატით მიიზლაზნებოდნენ ისინი: თოვლში, ნისლში, ტალახში, ჭაობებში და, გინებით ლდინს აცლიდენ ქვეყანას. მოლლილი მგზავრები სთვლემდენ ამ „ეკიპაჟებში" და მელოდიურ ჰანგებს ღიღინებდენ გზადაგზა

არ ეჩქარებოდა ძველ რუსეთს. მიდიოდა ის ნელი ტაატით ნისლში, თოვლში, ტალახსა და სიბნელეში

2.

„მოიხსნა" იმპერია. მასთან ერთად მოიხსნა ყველაფერი ის, რაც ამშვენებდა ამ იმპერიას.

მის ტერიტორიაზე დამკვიდრებულმა საბჭოთა კავშირმა მოიტანა სხვა გეგმები, სხვა მიზნები, სხვა ამოცანები თავისი კულტურული და ეკონომიური აღორძინებისათვის. რესპუბლიკათა დიდი კავშირის, პროლეტარული ქვეყნის მმართველმა მუშათა კლასმა და მისმა ბელადმა ამხ სტალინმა წამოაყენა ამოცანა:

— „დავეწიოთ და გავუსწროთ დაწინაურებულ ქვეყნებს".

პირველ ხუთწლედში ამ ამოცანის განხორციელებისათვის გმირული ბრძოლები ჩაატარა საბჭოთა კავშირის პროლეტარიატმა. ამ ხნის განმავლობაში ბოლშევიკების მიერ აღებულ ციხე-სიმაგრეთა შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია საბჭოთა კავშირში საკუთარი საავტომობილო მრეწველობის შექმნა.

ნაყოფი ამ ბრძოლის, მისი ბრწყინვალე შედეგი რეალური და ხელშესახებია

ავტომობილები, ტრაქტორები, კომბაინები. აი შედეგი უჩვეულო ბრძოლის, გაუგონარი გამარჯვების.

ამ მიღწევებმა, ამ გამარჯვებებმა წამოაყენეს მეორე არანაკლებად მნიშვნელოვანი ამოცანა. საჭირო შეიქნა ტექნიკის ათვისება, საკუთარი ძალებით საკუთარ ქარხნებში დამზადებული ავტოების გამოცდა საკუთარ გზებზე.

ეს მეტად მძიმე ამოცანაა, ვინაიდან გზის საკითხი საბჭოთა კავშირის არც ერთ რესპუბლიკაში სათანადოდ არ არის გადაჭრილი, ამ მხრივ მაინცა და მაინც დიდი მიღწევები არა გვაქვს. ამჟამად გზათა კეთილმოწყობის საქმეში ჩვენ დაახლოვებით ისეთი პერიოდი გვაქვს, როგორიც ამ რამდენიმე ათეული წლების წინად ჰქონდა ამერიკას, როცა იქ ფორდისა და სხვა საავტომობილო ფირმებმა ბაზარზე გამოუშვეს აურებელი სამგზავრო და საბარგო ავტოები. იმ დროს ამერიკას არ გააჩნდა არც ერთი კილომეტრი კეთილმოწყობილი გზა. უგზოობაში ავტომობილების მასიურად მსხვრევამ წამოაყენა ამერიკაში გზათა მშენებლობის განვითარების საკითხი და სწრაფად გადაჭრა იგი.

დღეს, ამერიკა თავისი მანქანებით და კეთილმოწყობილი გზებით სამაგალითო ქვეყანაა. ამერიკაში გზები დაიგეს თვითონ მანქანებმა.

საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი მანქანათმშენებლობასთან ერთად შეუდგა მეფის რუსეთისაგან მემკვიდრეობით მიღებულ ცუდი გზების შეკეთებასა და ახლების გაყვანას. დღეს ჩვენში მანქანა და გზა ორივე ჩქარი ტემპით კეთდება. ჯერ-ჯერობით მაინც დაძლეული არ არის უგზო-



გადარბენის ვიცე-კომანდორი ამხ. კატიუშკინი

ობა, ის ისევ სახიფათოა ჩვენი მანქანებისათვის.

საბჭოთა კავშირის დედაქალაქის, მოსკოვის პროლეტარიატი არ შეუშინდა — ვრცელ ველებს, უდაბნოებს, კავკასიის მთებში გადიკარგულ პრიმიტიულ გზებს,




კალიაევის დალმართის დასასრულთან. ყოფ. მუხრანის ხიდზე (ტფილისი) სპეც. მოწყობილ თაღის ქვეშ მწყობრად გადიან გადარ. მონაწილე მანქანები.

სადაც ძველ დროში ათასში ერთხელ თუ გაივლიდა რომელიმე მოხელე „კაშოვკით", „ტოლოკით", ან „ტარანტასით".

—:—

მოსკოვის პროლეტარიატმა მტკიცე გადაწყვეტილებმა მიიღო უგზო ქვეყანაში ცხრაათას ხუთასი კილომეტრიანი მანძილის დასაპყრობად.

...ამ რიგად, 1933 წ. ივლისის 6. მოსკოვში, მაქსიმ გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში დადგა 19 ახალი, საბჭოთა მანქანა, ერთი ძველისძველი, მაგრამ ხელახლად შეკეთებული ავტო და სამი უცხოეთის ფირმის ახალი მანქანა. ამით დასრულდა საბჭოთა კავშირში უდიდესი ავტო-გადარბენის,—მოსკოვ-ყარა-ყუმ-მოსკოვის სამზადისი.

ახლა შოფერებიისხდენ საჭესთან. ისინი ელოდებოდენ განკარგულებას.

სრულ 4 საათზე გადარბენის კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. კუიბიშევმა აზართა დროშა. მას მოჰყვა გადარბენის კომანდორის ამხ. მიხეცკის ბრძანება და ავტოკოლონა დაიძრა... მოსკოვის პარტიულმა, პროფესიულმა, საბჭოთა და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მუსიკის გრიალში გააცილეს ისინი. მოსკოვის საავტომობილო ქარხნების მუშებმა შორეულ სტეპებსა, უდაბნოებსა და კავკასიის დათოვლილ ბაქნებისაკენ გაისტუმრეს თავიანთი პირმშო.

შორეულ გზაზე გამგზავრებულ მანქანებს თან მიჰქონდათ მოსკოვის პროლეტარიატის ნაკაზი.

გადარბენის მიზანი იყო:

საბჭოთა მანქანების გამძლეობისა, ამტანობისა და უპირატესობათა გამორკვევა უცხოეთის ფირმების მანქანებთან შედარებით. გადარბენა მიზნად ისახავდა აგრეთვე გზადაგზა კოლ. და საბჭოთა მეურნეობებში პურის აღებისათვის ხელის შეწყობას, ამავე მეურნეობებში მასიურ-პოლიტიკურ კამპანიების ჩატარებას.

ამ გეგმითა და თავიანთი მშენებელ ინჟენერ-კონსტრუქტორებით დატვირთული მანქანები მიარღვევდენ სივრცეს.

უკან დარჩა მოსკოვი, უკან დარჩა საავტომობილო ქარხნების პროლეტარიატი, თავისი მანქანების—ამ ფოლადის მერნების მარულის ბრწყინვალე გამარჯვებაში მტკიცედ დარწმუნებული.

### 3.

უცხოეთში გადარბენებს მხოლოდ სასპორტო მნიშვნელობას აძლევენ. იქ ეს მხოლოდ გასართობი საშუალებაა, მოკლებულია ყოველგვარ მეცნიერულ დანიშნულებას.

მოსკოვ-ყარა-ყუმ-მოსკოვის საავტომობილო გადარბენამ მთელი რიგი წმინდა მეცნიერული ხასიათის გამოკვლევები ჩაატარა გზა-და-გზა.

ამ გადარბენაში მონაწილეობას ღებულობდენ ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სწავლულები ეფიმოვსკი და გაელი, რომლებმაც მთელი რიგი მეცნიერული ხასიათის დაკვირვებები ჩაატარეს ციმბირისა და ყარა-ყუმის უდაბნოებზე გავლის დროს. მნიშვნელოვანი დაკვირვებები ჩაატარა აგრეთვე გადარბენის მონაწილემ მეტეოროლოგმა ეუკოვმა, რომლის დასკვნები აუცილებლად მნიშვნელოვანია და ის გამოყენებული იქნება მომავალში მაღალ ტემპერატურიანი რაიონებისათვის განზრახულ მანქანათა მშენებლობისთვის.

ყარა-ყუმის უდაბნოს დაპყრობამ ნათელჰყო, რომ სავსებით შესაძლებელია იქ განვითარებულ იქნეს მესაქონლეობა. დღემდე ეს მხოლოდ ზღაპარი იყო, არავის სჯეროდა, რომ იქ შესაძლებელი იყო კიტრის მოშენება, მაგრამ საბჭოთა მეცნიერება მოვიდა აქ თავისი ფეხით და სთქვა თავისი ავტორიტეტული სიტყვა. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სწავლულების მიერ აქ უდაბნოში აღმოჩენილ ბალახს ალბად ჩქარა მოსძოვს კოლექტივის ნახირი.

### 4.

ტფილისი ერთი კვირით ადრე ემზადებოდა ძვირფასი სტუმრების—ყარა-ყუმელების შესახვედრად.

საქზაკტრანსკი, „სოიუზტრანს"-ი, საქართველოს ავტო გზის ცენტრალური საბჭო, ავტოგზის ტფილისისა და მისი რაიონების საბჭოები თავიანთი უამრავი წევრებითა და აქტივით ფეხზე იდგა.

წინა დღეებში ქალაქის ყველა მთავარ ქუჩებსა და მოედნებზე უკვე გამოფენილი იყო სათანადო პლაკატები გადარბენის სტარტისა და მისი მარშრუტის აღნიშვნით.

დღეს, 7 სექტემბერია. დღეს სრულ 4 საათზე ტფილისის კარებს მოადგება ავტოკოლონა. მთელს ქალაქში ავტოების უჩვეულო მოძრაობაა, ყველა ცდილობს დღიური საქმე დროით მოითავოს, რომ 3 საათისათვის დადგეს ავტოგზის ტფილისის საბჭოს მიერ დანიშნულ ადგილზე. ყველას ეჩქარება უდაბნოსა და 9 ათასხუთას კილომეტრიანი მანძილს შენაბრძოლები და გამარჯვებული მანქანების ნახვა.

—:—

3 საათია. პლეხანოვის პროსპექტი თავიდან ბოლომდე გაჭედილია მოტოციკლებითა და ავტოებით. ქუჩა ვერ იტევს სახახაობით დაინტერესებულ ხალხს, ავტოები სავსეა წარმოება-დაწესებულებების მიერ სტუმრების შესახვედრად გამოყოფილ აგანაგებით: ქალებით, კაცებით, ბავშვებით.

ერთი-მეორეში ირევიან რეპორტიორები, კორესპონდენტები, ფოტო-რეპორტიორები, საქკინმრეწვის ოპერატორები.

ყველას ეჩქარება, ყველას ეშურება.

აი, ნიშანი.

დროა გამგზავრებისა! კოლონის წინა ნაწილში აძრავდენ მანქანები, გაისმის მუსიკა, ჟრიამული, კისკისი, მტვერში მანქანების და ტრამვაების გრიალში გაჰქრენ ყარა-ყუმელებთან მისაგებებლად გამოსული ავტოები.

—:—

რამდენსამე წუთში ვაზიანის აეროპორტის წინ გაშლილ მინდორზე ვდგევართ ორ მწკრივად დარაზმული. გავსცქერით გარეკახეთის გზას, საიდანაც უნდა გამოჩნდენ სანატრელი სტუმრები. ჰაერში დაფრინავენ აეროპლანები. პროპელერის ხმაურს მიაქვს ყურთა სმენა.

უეცრად აეროპლანებმა წრე დაარტყეს, თითქოს ფრთა ფრთას შეაჰკრესო, შეტრიალდენ ჰაერშივე, ძირს დაეშვენ და თავზე გადაგვიქროლეს.

ეს იყო სტუმრების მოახლოების ნიშანი. შორს, დაბლობში გასწორებულ გზაზე გამოჩნდა ცისფერი ავტოების გრძელი ლენტი. ირგვლივ სიჩუმე დამკვიდრდა. საქკინმრეწვის კინო-ქრონიკის რეჟ. მიტროფანოვი, ოპერატორები ნაგორნი და მაგაკიანი აპარატებს სინჯავენ, ემზადებიან პირზე ასახონ მანქანების უჩვეულო შეხვედრა.



ტფილისის საბჭოს წინ—თავისუფლების მოედანზე ამართულ ტრიბუნიდან გადარ. მონაწილეებს ესალმება ამხ. ფ. მახარაძე.

მოახლოვდა პირველი მანქანა. ეს ავტოგზის ტფილისის საბჭოს მანქანაა. მასში სხედან სტუმრების მისაგებებლად წინა დღეებში საქართველოსა და აზერბეიჯანის საზღვარზე გამგზავრებული ამხანაგები. ისინი ნელა მოემართებიან. ისინი დინჯად მოუძღვებიან სტუმრებს ტფილისის კარი-ბჭეებისაკენ.

ავტოგზის მანქანას მოსდევს პირველი ცისფერი მანქანა—ეს არის გადარბენის კომანდორის ამხ. მირეცკის ავტო. რომლის დანახვაზე ირგვლივ გაისმა გამაყრუებელი ტაში, „ვაშა"-ს ძახილი, მუსიკის გრიალი. ჰაეროპლანები უფრო ძირს დაეშვენ და გადმოჰყარეს უთვალავი ფურცლები.

სტუმარი მანქანები ნება-ნება მოსდევენ ერთიმეორეს, უკანასკნელმა მანქანამ გაიარა. უეცრად დაიძრენ ველზე დამდგარი ტფილისის მანქანები და უჩვეულო ბუღის კორიანტელი დააყენეს დაღმართზე.

ნავთლუღიდან თავისუფლების მოედნამდე ქუჩა გაჭედილია ხალხით, ყველას აინტერესებს ნახოს ყარა-ყუმის დამპყრობი გმირები. ორ წყებად ჩარაზმულ ხალხში ნელა მისრიალებენ ავტოები. ყველგან ტაში, ყველგან „ვაშა"-ს ძახილი, მისალმებები, ალფრთოვანება.

—:—

თავისუფლების მოედანზე სტუმრებს ესალმებიან: ამხ. **ბ. მაჩაიძე, ფ. მახარაძე, ვოლიხი, ჯალიაშვილი, დეკანოზიშვილი, და რუსაძე.**

უკანასკნელად გამოდის გადარბენის კომანდორი ამხ. **მირეცკი.**

ზღვა ხალხი ოვაციებს უმართავს გამარჯვეულთა მეთაურს. ამხ. მირეცკი ახასიათებს გადარბენის მნიშვნელობას, გადარბენის სიძნელეებს, მიღებულ გამოცდილებებს, საბჭოთა მანქანების გამოცდის ბრწყინვალე შედეგებს და გამოსთქვამს გადაიოეპის წარმატებით დამთავრების ღრმა ოოწმენას.

—:—

მფრინავი მიტინგი სრულდება და სტუმრები რუსთაველისა და პლეხანოვის პროსპექტით ნელა და მწყობრად მიემართებიან „დინამო"-ს სტადიონისაკენ, სადაც იმავე საღამოს მათ საპატივცემლოდ დანიშნული იყო ავტოგზის ტფილისის საბჭოს საგანგებო პლენუმი.

—:—

5

ორი დღე დარჩენ სტუმრები თბილისში, ორი დღე უვლიდენ და ასუფთავებდენ ტფილისელი მოფერები ყარა-ყუმის დამპყრობ ცისფერ მანქანებს, ორი დღე დადიოდენ ტფილისის მთავარ ფაბრიკა-ქარხნებში გადარბენის მონაწილეები, მოხსენებებს უკეთებდენ მუშა-მოსამსახურეებს გადარბენაში მიღებულ გამოცდილებათა შესახებ... ორი დღე ეცნობოდენ სტუმრები დედა-ქალაქის წარმოებებს და საბჭოთა მანქანების გამარჯვებებით აღტაცებულ ტფილისის პროლეტარებს.

—:—

სტუმრებმა წასვლის წინ ამხანაგური, ბოლშევიკური პირდაპირობით უთხრეს ტფილისელ მოფერებს ის, რაც არა ერთხელ აღნიშნულა ჩვენს პრესაში, მაგრამ რისთვისაც ჯერ არავის მიუქცევია ჯეროვანი ყურადღება.

გადარბენის ვიცე-კომანდორმა ამხ. კატიუშკინმა განაცხადა: „არსად, არც ერთ ქალაქში არ დაჰყავთ ავტომანქანები, როგორ ტფილისში. „ფეხბურთელური სვლა"—ასე ეძახიან ავტო-მუშაკები იმ სისწრაფეს, რომლითაც ტფილისის ქუჩებში დაქრიან ავტოები. ავტო მუშაკების ეს თქმა სავსებით განხორციელებულია აქ. მანქანის უცაბედი დამუხრუჭება და ათასგვარი



ტფილისის საბჭოს წინ—ამხ. ბ. მაჩაიძე ესალმება გადარბენის მონაწილეებს.

„ტრიუკები", რასაც აქ აქვს ადგილი, არის მანქანისადმი გაუფრთხილებლობის იშვიათი გამოსახულება. ჩვენ ვიცით, რომ საწარმოში მანქანებისადმი გაუფრთხილებლობისათვის დამნაშავეს პასუხისგებაში აძლევენ, აქ კი ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმე მიეცეთ პასუხისგებაში ავტომანქანებისადმი ასეთი მოპყრობისათვის.. აუცილებლად უნდა იქნეს გამახვილებული ყურადღება ქუჩებში წესიერი მოძრაობის გარშემო. მოფერთა შორის უნდა ჩატარდეს ფართე ახსნა-განმარტებითი მუშაობა ავტო-ტრანსპორტის უწესრიგო ტარების მავნებლობის შესახებ, უნდა მოეწყოს მოძრაობის წესების დამრღვევთა რამდენიმე სანიმუშო გასამართლება".

—:—

ასეთი ნაკაზი დასტოვეს აქ—დედაქალაქში მანქანების ფრთხილად მოპყრობისა და ქვეითა მგზავრების გასრესისაგან გადასარჩენად და თბილისის მოფერთა საზოგადოების საყურადღებოდ ყარა-ყუმელებმა გამგზავრების წინ

9 სექტემბერს მოსკოვ-ყარა-ყუმ-მოსკოვის გადარბენაში მონაწილე 23 მანქანა ისევ მწყობრად იდგა პლეხანოვის პროსპექტზე.

ტფილისის ავტო-ტრანსპორტის მუშაკებმა და ყარა-ყუმის უდაბნოს დამპყრობმა, გამარჯვებულ გმირთა გამოთხოვება ერთხელ კიდევ აღბეჭდა ფირმებზე. სურათი „პოტიომკინი"-სა და „ოქტომბერი"-ს გადამღებმა ცნობილმა კინოოპერატორმა ტისსემ. კოლონა დაიძრა.

ყარა-ყუმელები გავიდნენ ტფილისიდან, ისინი საქართველოს სამხედრო გზით გაემართნენ დარიალის ხეობისაკენ—ქალაქ ორჯონიკიძისაკენ, რომ მოსჭრან დარჩენილი მანძილი და თანახმად მოცემული გეგმისა, 23 სექტემბერს ჩაუტანონ მოსკოვის პროლეტარიატს საბჭოთა მანქანების ბრწყინვალე გამარჯვების, საბჭოთა ინჟინრებისა და მეცნიერების მიერ უდაბნოების დაპყრობისა და ტექნიკის დაუფლების სასიხარულო ამბავი.

სექტემბრის—10.



მფრინავი მიტინგის დასრულების შემდეგ კოლონა მიემართება რუსთაველის გამზირით „დინამო"-ს სტადიონისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# არსენას ტიპი ქართულ მწერლობაში

## სიმონ ხუნდაძე

1.

1868 წლის აგვისტოს ჟურნ. „ცისკრის“ ნომერში დაბეჭდილია აკაკის დრამის „არსენას“ დასაწყისი. ეს დრამა განზრახული ყოფილა ხუთ მოქმედებად. აღნიშნულ ჟურნალში გამოქვეყნებულია მხოლოდ პირველი მოქმედების ორი სცენა. დანარჩენი მოქმედებები არ გამოქვეყნებულა. იგი არც აკაკის არქივში შენახულა; მისი ავტოგრაფი ჯერ-ჯერობით დაკარგულად უნდა ჩაითვალოს. არც რაიმე სხვაგვარი ცნობები არსებობს აკაკის ამ დრამის შესახებ. თავის ცრცელსა და მრავალს მოგონებებში ერთხელაც ეს თავისი დრამა არ გახსენებია.

უდავოა, რომ ეს დრამა ავტორს დამთავრებული ექნებოდა თორემ მის ბეჭდვას არ დაიწყებდა. ხოლო გამოსარკვევი მეორე საკითხია: რამ შეუშალა ხელი ამ დრამის დაბეჭდვას? ყველაზე ახლოს იქნება სიმართლესთან თუ ვიფიქრებთ, რომ დრამა „არსენა“ ცენზურულ პირობების გამო არ იქნა დაბეჭდილი და, ალბად, მისი ხელნაწერიც საცენზურო კომიტეტს დარჩა, ხოლო 60-იანი წლების საცენზურო კომიტეტის არქივის მასალებიდან მეტად ცოტა არის დარჩენილი, ამიტომ გასაგები უნდა იყოს, თუ რად დაიკარგა აკაკის ამ დრამის ხელნაწერი. ეს ერთი მოსაზრება.

რამდენად სწორი არის ის მოსაზრება, რომ დრამა „არსენაში“ აკაკი ისტორიულ არსენა ოძელაშვილის ცხოვრებას ეხებოდა და მის ეპოქის სინამდვილეს გადმოქვცემდა! ამ კითხვაზე გადაჭრით პასუხის მიცემა ძნელი არის, რადგან მთელი დრამა და მისი შინაარსი არ არის ცნობილი ხოლო გამოქვეყნებულ პირველი მოქმედების ორ სცენაში მთავარი გმირის, არსენას, ხსენებაც კი არ არის. მეორე მხრივ, პირველი მოქმედების შინაარსი იქ გამოყვანილი ტიპები და თვით დრამის კვანძი არ შეესაბამება იმას, რაც ცნობილია არსენა ოძელაშვილის თავგადასავალთან დაკავშირებით. გამოქვეყნებულ პირველ მოქმედებაში ირკვევა, რომ ხერხაძეს მოუწამლავს მდიდარი მემამულე, თავადი გოჩუნიძე. ხერხაძეს რომანიული კავშირი აქვს გოჩუნიძის ცოლთან და მასთან შეთანხმებით მომხდარა თავადის მოწამვლა. ხერხაძე გოჩუნიძის ქალიშვილის, მაკრინეს აპეკუნი გამხდარა და ცდილობს მაკრინეს მეუღლე გახდეს, რომ ამით მისი დიდძალი ქონება ჩაიგდოს ხელში. ამაში მას ეხმარება. გვჩენაძის ქვრივი. მაკრინეს დედინაცვალი. მაკრინეს ყავს საქმრო გიორგი. პირველი მოქმედება მთავრდება ხერხაძის მოკვლით მაკრინეს ხელით, რომლის ძალით დაუფლება მან მოინდომა. ასეთია პირველი მოქმედების მთავარი მომენტები. ამ მოქმედებიდან და კვანძებიდან არ სჩანს დრამის შემდეგი განვითარების შინაარსი, ან როგორი უნდა იქნეს დრამის მთავარი გმირის, არსენას როლი (არსენა დრამის სათაურია და ცხადია, იგია დრამის მთავარი გმირი). როგორც ვთქვით არსენა პირველ მოქმედებაში არა სჩანს და არ ვიცით ვინაობა. როგორც დავინახეთ არც აირველი მოქმედების შინაარსი იძლევა იმის შესაძლებლობის თქმას, რომ ამ დრამაში პოეტი გვიშლიდა არსენა ოძელაშვილის ცხოვრებას. მაგრამ საკითხი ამით არ ამოიწურება, თუ ვიცით როგორ გაშლიდა (ან ჰქონდა გაშლილი) ავტორი დრამის შემდეგი მოქმედების შინაარსს და როგორი სახით გამოიყვანდა არსენას, მასალების უქონლობა ჯერ კიდევ არ სწყვეტს საკითხს ამ დადებითად ან უარყოფითად. აკაკის შეეძლო სულ სხვა გზას, გარემოსა და ფონზედ ჩვენება არსენას ტიპი. ეს მისი „კოუტური უფლება“ იყო. ამიტომ ჩვენ ვამბობთ: პირველ მოქმედების შინაარსიდან გადაჭრით რისიმე თქმა ძნელია.

მაგრამ არის ერთი მომენტი, რასაც ჩვენი ყურადღება უნდა მივაქციოთ წამოყენებულ საკითხის გადაწყვეტის დროს. ეს არის მომქმედ პირების სია და მათი მოკლე დახასიათება. აქედან მრავალი რამ ირკვევა. მოვიყვანოთ შემოკლებით ამ მოქმედ პირთა სია: არსენა—ავაზაკი, კვერაძე—არსენას მკვლელი იმერელი, ავაზაკები:—იმერელი, ოსი, გურული, რაჭველი, ქართლელი,, კახელი და ბევრი სხვები, სომეხი, ქართველი თავადი, მგზავრები:—ურია, ქალი, ტუსაღები, ყარაულები.

აქედან ირკვევა: არსენა ავაზაკია, რომელსაც ჰყავს მთელი გროვა ავაზაკებისა; მას კლავს იმერელი კვერაძე. (ხომ არ არის აქ შემოკლებული სეფისკვერაძე). შეუძლებელია იმის გამორკვევა თუ როგორი სახით სახავდა ავაზაკ არსენას ტიპს აკაკი თავის დრამაში. ვერც იმას ვიტყვით გადაჭრით, რომ ავაზაკ არსენას სახით პოეტს უნდოდა ისტორიული არსენა ოძელაშვილი გამოესახა. შეიძლება აქ უბრალო სახელების შეხვედრა იყოს და მეტი არაფერი.

70—60-იან წლებში არსენა ოძელაშვილის სახელმა საზოგადოების დიდი ყურადღება მიიპყრო. ფართო მასაში არსენას სახელი უფრო გავრცელდა. მწერლობამ ყურადღება მიაქცია. არსენას სახელს და მის შესახებ დაიწყეს წერა ჟურნალ-გაზეთებში. 1272 წელს პირველად გამოვიდა წიგნად „არსენას ლექსი“ ვექილი ნ. დ. ყიფიანის რედაქციით: დაიბეჭდა 2.000 მეტი. ორი კვირის შემდეგ იმავე ნ. ყიფიანმა შესწორებული რედაქციით გამოსცა, ახლა 6.000 ცალი. ქართული წიგნის ასე მოკლე დროში ასეთი დიდი რაოდენობით გასაღება პირველი მაგალითი იყო. მანამდე ქართული ბეჭდვითი ნაწარმოები ასობით საღდებოდა. პუბლიცისტი ს. მესხი: „არსენას ლექსის“ პირველი გამოცემის შესახებ სწერდა: „ამ ორი კვირის განმავლობაში ბევრს თვალისა და გონებისათვის სასიამოვნო სურათს ნახავდა ქართული მწიგნობრობის და ქართველი ხალხის მოყვარე კაცი: სადაც გაიხედავდი, დაინახავდი თავმოყრილ პატარა ბიჭებს და ზოგან დიდებსაც; ერთ მათგანს უჭირავს ხელში პატარა, წითელ ყდიანი წიგნი („არსენას ლექსი“) და ხმამაღლა ჰკითხულობს; სხვებსაც ილლიაში ამოუდვიათ ამისთანა წიგნები, გაჩერებულან და ყურს უგდებენ. ორ კვირაში რომ ათას ორასი წიგნი გაყიდულიყოს, ეს პირველი შემთხვევაა ჩვენში“. (იხ. მესხის თხზულებანი. გვ. 58—59). „არსენას ლექსმა“ უმწვერვალეს რეკორდს მიაღწია: მან დაიპყრო მაშინდელი ბაზარი. ნუ დავივიწყებთ, რომ „არსენას ლექსი“ უმთავრესად მშრომელ მასებში ვრცელდებოდა, მასა იყო მისი უმეტესი მკითხველი. 1874 წ. მესამე გამოცემაც გამოვიდა პ. უმიკაშვილის ახალი რედაქციით. ამჟამად დაიბეჭდა 2000 ცალზე მეტი. შემდეგ წლებში დროგამოშვებით იბეჭდებოდა ამ უკანასკნელი რედაქციით. როგორც უკვე ვწერდით, ამავე ხანაში არსენას თავგადასავალს ყურადღება მიაქცია ქართულმა პუბლიცისტიკამაც. მხატვრულ ლიტერატურიდან არსენას ტიპი პუბლიცისტიკის სფეროშიაც გადავიდა და საზოგადოებრივი აზროვნების კვლევის საგანიც გახდა. ამ მხრივ აღსანიშნავია პუბლიცისტების სერ. მესხისა და პ. უმიკაშვილის წერილები არსენას შესახებ. იმის გამოსარკვევად თუ როგორ ახასიათებდნენ და როგორ ესმოდათ არსენას ტიპი ჩვენს მწერლებს სხვადასხვა პერიოდებში მე საჭიროდ მიმაჩნია მკითხველის ყურადღება რამდენიმე ხნით შევაჩერო აღნიშნულ პუბლიცისტების დახასიათებაზედაც. მათი შეხედულებების გაცნობა უფრო სრულ წარმოდგენას მოგვცემს არსენას ტიპის ისტორიულად გაგების საქმეში; ე. ი. თუ როგორ უყურებდნენ არსენას და აფასებდნენ მის მოქმედებას ისტორიის სხვადასხვა პერიოდებში ინტელიგენციის სხვადასხვა ფენების წარმომადგენლები.

ს. მესხი და პ. უმიკაშვილი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული აზროვნების გამომხატველნი იყვნენ ჩვენს პუბლიცისტიკაში. ისინი ჯერ კიდევ ნორჩი ქართველი ბურჟუაზიის ინტერესებს იცავდნენ და ახალი ბურჟუაზიული კულტურისათვის იბრძოდნენ. ამ თვალსაზრისით დაახასიათეს მათ არსენა ოძელაშვილი. სერ. მესხი სწერდა, რომ არსენას შესასწავლად, მისი თავგადასავლის გასაცნობად და სისწორით ასასახავად, საჭირო არის შევისწავლოთ „ის დრო, როდესაც სცხოვრობდა არსენა“; ამ გზით უფრო სწორად ავხსნით, პუბლიცისტის აზრის „იმ საქმეებს, რომელიც ამ გმირს ჩაუდენია“ და გავიგებთ „თუ ხალხი რატომ უთანაგრძნობდა მას“, ავტორი სწერს რა ბატონყმურ წყობილებას და გლეხთა ბრძოლას მის წინააღმდეგ, დაასკვნის:

„ამისათანა დროში დაიბადა არსენა. იმის თავისუფლების მოყვარეობამ, იმის პატიოსნებამ და ღარიბთა შემბრალებელმა გულმა ვერ გაუძლო, ვერ მოითმინა ამისთანა წყობილება საზოგადოებისა, სრულიად მოშორდა ამ საზოგადოებას, „გავარდა“ და დადიოდა მშიერი ველად“. კარგი რა უნდა ითქვას იმ დროზე და იმ საზოგადოებაზე, როდესაც კაცი იძულებულია, მთელი სიცოცხლე ტყეში გაატაროს მხეცივით, ბალიშის ნაცვლად ცივი ქვა დაიდვას თავქვეშ, და დღე-ღამე თავს აწვიმდეს და ათოვდეს. ამისთანა მდგომარეობაში იყო არსენა, მაგრამ მისდამი ხალხის სიყვარულსა და თანაგრძნობას სულ სხვა საფუძველი აქვს. არსენა ხედავდა ხალხის გაჭირვებულ მდგომარეობას, ხედავდა, ვინ იყო ამის მიზეზი და ისე იქცეოდა, როგორც ჭკუა და გონება უჭრიდა. არსენა იყო ღარიბების მეგობარი და მფარველი, განსაკუთ.

*) იხ. „დროშა“ №№ 13, 14.



დნეპრის ალუმინის—პირველი რიგის ელ. ლიტ. საამქრო შიგნიდან. სურათი გა-დაღებულია საამქროს ამუშავების წინ.

რებით სომხებსა და ურიებს არ სწყალობდა. მართალია თავის ღარიბებისადმი სიყვარულ... და მდიდრებზე უკმაყოფილებას ის აზირებულათ ამტკიცებდა: სადაც კი დახვდებოდა მდიდრებსა და ვაჭრებს, აოთმევდა მათ ყველაფერს და შემდეგ ღარიბებს ურიგებდა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, ვინ იყო თვითონ არსენა და რა გარემოებაში სცხოვრობდა ისა!—უბრალო მარაბდელ გლეხს ამაზე მეტი რა მოეთხოვება...

ამ სიტყვების („ჩემი შვიდასი თუმანი...") მთქმელ არსენასათვის როგორ არ უნდა თანაეგრძნო ღარიბ ხალხს? ამ სიტყვების გამგონე ხალხს როგორ არ უნდა ეთქვა იმისათვის „ღმერთი როდი წაახდენსო"! და როგორ არ უნდა გაეხადა ის თავის გმირათ? ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს ისეთ კაცს, რომელმაც რაიმე სიკეთე მოუტანა იმას, რომელიც რითიმე დაეხმარა იმის გაჭირვებულ მდგომარეობას და თანაგრძნობას უცხადებს" (იქვე).

მეორე პუბლიცისტი—პ. უმიკაშვილი შემდეგნაირად ახასიათებს არსენასა და მის მოღვაწეობას:

„არსენას ზოგნი ყაჩაღს ეძახიან... ეს ცრუ აზრია და არსენა ამგვარი ყაჩაღი არ არის, თუ კი ყაჩაღი დავარქვათ. სხვანი კიდევ არსენა ბატონყმობის წინააღმდეგ კაცათა ჰგონიათ და სხვა არაფრათა. მაგრამ კარგად რომ დავაკვირდეთ ბევრს და ბევრს სხვა მხარეს დავინახავთ... არსენაში გამოითქვა ბუნებითი, ღრმა სიყვარული სიკეთისა და ამ სიკეთისათვის თავის აღება და ბრძოლა კაცის დამჩაგვრელ ძალასთან, როგორიც უნდა იყოს ეს ძალა... მრთელმა ჩვენი ერის სიცოცხლემ ეს ძლიერი გრძნობა პირადის, კაცურის უფლების, ჩანერგვა ჩვენს ...ში—კაცში და ხალხში. არსენა არის ამ ხალხის ნამდვილი შვილი და ამ გრძნობის გამომხატველი კაცი... იმაში იხატება გარკვევით და ცხადათ რა მწუხარება აწუხებს ჩვენს გლეხსა და რა იმედი აიმედოვნებს". („კრებული" 7, 1872 წ.).

ასეთს განმარტებას აძლევენ არსენასა და მის მოქმედებას, ბურჟუაზიულად მოაზროვნე მწერლები. მათთვის არსენა არის მებრძოლი „კაცური კაცობისათვის" ადამიანის განთავისუფლებისათვის, მონური ბორკილებისაგან, ორივე პუბლიცისტს არსენაში მოსწონს ის დიდი გრძნობა, რომელსაც იგი იჩენს მისი თანამოძმე გლეხობისადმი. მისი აზრით არსენა გამოხატავს იმ გრძნობას და გონებას, რომელიც შემუშავებულია საუკუნეთა განმავლობაში ქართულ გლეხობაში: ეს გამოიხატება პირად თავისუფლების ხოტოებასა და სხვისადმი პატივისცემაში. ასეთი დახასიათება არსენა ოძელაშვილისა პირდაპირ გამომდინარეობდა ბურჟუაზიულ განწყობილებიდან და შეხედულებებიდან. ბურჟუაზიული აზროვნება და იდეოლოგია ვერ თავსდება ფეოდალური წყობილების ვიწრო არტახებში, იგი პიროვნების დამცველად გამოდის, თავისუფალი შრომის აპოლოგეტობას ჩემობს, და პიროვნების თავისუფლებას იცავს მონობისაგან. არსებითად ეს დაცვა ფორმალური ხასიათისაა და მათი თავისუფალი შრომის პრინციპები ბურჟუაზიული სასიცოცხლო ინტერესებზე არის აღმოცენებული; არსებითად, ისტორიულ სოციალურად პიროვნების, გლეხის განთავისუფლება ბატონყმური მონობიდან ნიშნავს მის ახალ, ბურჟუაზიულ მონობაში გადასვლას და ეს თანაგრძნობა ბურჟუაზიული ინტელიგენციისა გლეხობისადმი გამომდინარეობდა არა გლეხობის სასიცოცხლო ინტერესებიდან, არამედ ბურჟუაზიული კლასის ინტერესებიდან, ამას ბურჟუაზიის მიმდინარე ინტერესები და მის საჭიროება მოითხოვდა.

ს. მესხის და პ. უმიკაშვილის დახასიათებით არსენა უბრალო გლეხია, მაგრამ უფრო ჭკვიანი და რაინდული ხასიათის მატარებელი, არსენას პოლიტიკური ცხოვრების არაფერი გაეგება. იგი მოქმედებს ისე, როგორც ამას უკარნახებს მისი გრძნობები და გონება. ხოლო ეს გრძნობები და გონება გლეხური ხასიათისაა, გარკვეულ საზოგადოებრივ პირობებში შემუშავებული, უნდა ითქვას, რომ მათ მიერ დახასიათებული არსენა,—ეს დახასიათებაა არსენას ლექსის" მიხედვით არის უმთავრესად შემუშავებული ახალ ისტორიულ სინამდვილესთან.

...ეთი ცხოველი ინტერესი, გამოწვეული 70—80-იანი წლების ჩვენს ლიტერატურაში და საზოგადოებაში არსენას პიროვნე... ...ავის ხასიათის არ იყო. ეს ... ...სებური მოთხოვნილებით იყო გამოწვეული. საერთოდ ლიტერატურა საზოგადოებრივი აზროვნების სიღრმიდან უებულობს მასალას თავის არსებობისათვის რეფორმის შემდეგ პერიოდში ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მეტად ... სოციალ-ეკონომიური ხასიათის ცვლილებანი მოხდა, ერთი მხრივ, გლეხობის უმიწაწყლოდ გათავისუფლებამ, მეორე მხრივ მემამულის კვლავ ბატონობამ, მესამე მხრივ—კაპიტალისტური ურთიერთობის სწრაფმა განვითარებამ, მეოთხე მხრივ—ბიუროკრატიულ სახელმწიფო აპარატის დაწოლამ, კიდევ უფრო შეავიწროვა და გაანადგურა გლეხობა; მისი მეურნეობა გამოუვალ ...ის ცეცხლში მოხვდა; გლეხთა სტიქიურ-მასიური და ინდივიდუალური მოძრაობა რეფორმის შემდეგ პერიოდშიაც განვითარდა. ამ პერიოდშიაც გლეხთა საკითხი მთელი თავისი სიმწვავით წამოიჭრა. ჯერ კიდევ გაუვითარებელ და ჩამორჩენილ გლეხთა წიაღიდან ახალი მებრძოლები გამოჩნდეს, ახალი არსენები წარმოიშვენ. ისეთ პერიოდში შევიწროვებული ხალხი წარსულისაკენ იყურება და იგონებს მისი ინტერესებისათვის მებრძოლ გმირებს. არსენა... ...ეთეს გმირს იგი ვერ ... და ინტერესი ამ სახალხო გმირისადმი ამ პერიოდში უფრო გაცოცხლდა და გააქტიურდა. ეს ხალხურ ლექსებშიაც აისახა. ვაჟა-ფშაველას, ერთ თავის მოთხრობის ბოლოს მოყვანილი აქვს ერთი ლექსი, რომელსაც საზანდარი დამღერის. ამ ლექსში გამოსახულია ხალხის გაჭირვება და მისი მჩაგვრელი ძალები დახასიათებული, სოფლის ჩარ-

ჩის მიმართ ლექსში ნათქვამია:

ვინ გვყავს პასუხის-მგებელი
რომ სთქვა რა გასაკვირით
იცი რომ მიწამ შეჭამა
**ის მარაბდელი გმირია (არსენა)**
ქვეყანა დაობლებულა,

. . . . . .

და უპირობა სტირის.
გაუსწვეპელი ვაჟკაცი,
**არ სჩანს, ალარსად ჩნდება.**
**ვაჰ თუ დამალეს გულზედა**
**ეგ გამოზრდილი ძვალია,**
თუ სხვაფრივ წავხდით, შკლავებში
**ხომ კიდევ გვაქვს ძალია.**

**(იხ. „ივერია“ № 16, 1890 წ.).**

**მარაბდელი გმირი ხალხის იდეალს შეადგენდა.** ყოველ გასაჭირის დროს იგი ამ გმირის სახელს მიმართავდა. აქაც ვაჟკაცის თავგასულობა, მისი დაუზოგველი ექსპლოატაცია, გლეხობისა იმის მიზეზია, რომ ვაჟკაცმა იცის, რომ **„მიწამ შეჭამა მარაბდელი გმირი“.**

ასეთ პირობებში, როდესაც ხალხის შეგნებაში კვლავ გაცოცხლდა არსენა მისდა-

-სი ინტერესი გაცხოველდა, [illegible] ლიტერატურასაც მიექცია ყური [illegible] ამ გმირისათვის და თავისი მოვალეობა მოეხადა ცხოვრების მოთხოვნილების წინაშე. 70-იან წლების ამ გაცხოველების საუკეთესო მაგალითები ჩვენ უკვე დავინახეთ: თითქმის ექვსჯერ გამოიცა, „არსენას ლექსი“ და დაიწერა მთელი რიგი წერილებისა არსენას შესახებ.

**90-იან წლებში ამ გაცხოველებული ინტერესის საუკეთესო გამომხატველი იყო ს. ყაზბეგის სამ მოქმედებიანი დრამა „არსენა“.**

# შაქრის კუნძულზე

როცა კუბამ მიიპყრო შეერთებული შტატების ყურადღება, ბედი ამ უმდიდრესი კუნძულის, რომელიც მდებარეობს ასე ახლო ამერიკის ნაპირებთან, კარაიბის ზღვაში, უკვე გადაწყვეტილი იყო.

ამერიკის იმპერიალიზმს უყვარს თავისი მტაცებლური გეგმების მოჭახრაკება „თავისუფლების“ დროშით. როცა კოლუმბიამ უარი უთხრა შეერთებულ შტატებს პანამის არხისთვის საჭირო ტერიტორიის დათმობაზე, პანამაში იფეთქა „რევოლიუციამ“, რომელიც ვაშინგტონის ემისრებმა მოაწყვეს. შეერთ. შტატებმა, რომლებსაც არსებობის მეთექვსმეტე წელსაც კი ოფიციალურად არ უცვნიათ პროლეტარული რევოლიუციის შედეგად შექმნილი დიდი საბჭოთა კავშირი, 10 დღეში იცნეს პანამის „დამოუკიდებელი“ რესპუბლიკა, ამერიკის იმპერიალიზმს შემდეგშიც არა ერთხელ მიუმართავს „რევოლიუციების“ ნაცად ხერხისთვის მექსიკაში, ნიკარაგუაში, ჩილიში და ცენტრალურ და სამხრეთ-ამერიკის სხვა რესპუბლიკებში.

ასევე მოხდა კუბაშიც. ამერიკელმა კაპიტალისტები, რომლებსაც კუბაზე დიდი პლანტაციები ჰქონდათ, ბუნებრივად სცდილობდნენ ეს უმდიდრესი კუნძული „გაენთავისუფლებიათ“ ესპანეთის ბატონობისაგან და ეკონომიურად და პოლიტიკურად მჭიდროთ დაეკავშირებიათ შეერთ. შტატებთან. შაქრის ჭარხლის ფართოდ გავრცელების შემოღებამ კასტილიაში თვით კუბელი პლანტატორები აამხედრა ესპანეთის წინააღმდეგ და ამრიგად ცხრაასიანი წლების დასაწყისში შეიქმნა კუბის „დამოუკიდებლობის“ ძლიერი პარტია.

შეერთ. შტატებში მოეწყო კუბის „დამოუკიდებლობის“ მომხრეთა ორასზე მეტი კლუბი, რომლებიც ფარულად გზავნიდნენ იარაღს და თავზე ხელაღებულ ხალხს ესპანეთის წინააღმდეგ გამოსვლების მოსაწყობათ აიარაღებდენ. მართალია, პრეზიდენტი კლივლენდი (1895—97 წწ.) თავის ოფიციალურ მიმართვაში მოითხოვდა სასტიკი ნეიტრალიტეტის დაცვას, მაგრამ იარაღით დატვირთული ხომალდები და შეიარაღებული რაზმები დაუბრკოლებლად აღგებოდნენ კუბის ნაპირებს.

სულ ჩქარა „რევოლიუცია“ კუბაზე გაჩაღებული იყო, ამის შემდეგ კუბის „დამოუკიდებლობის“ მომხრეებმა მთელი ყურადღება იმაზე გადაიტანეს, რომ შეერთ. შტატები ჩარეოდა „რევოლუციაში“ ესპანეთის წინააღმდეგ. საზოგადოებრივი აზრის სათანადოდ დამუშავების შემდეგ (რასაკვირველია, ამისთვის გამოყენებული იქნა ჩვეულებრივი საშუალებები: ესპანელების მხეცობათა აღწერა და სხვ.) ატმოსფერის კიდევ უფრო გასამწვავებლად ჰავანის ნავთსადგურში მყოფ ამერიკის სამხედრო გემი „მენ“-ის აფეთქება 214 კაცისაგან შემდგარი რაზმით ესპანელებს დააბრალეს. თითქოს მათ ნაღმით ააფეთქეს ხომალდი (1898 წ. 15 თებერვალს). „გახსოვდეს „მენ“-ი გაჰყვიროდენ ყოველ გზაჯვარედინზე ინტერვენციის მომხრეები. პრეზიდენტმა მაკ-კინლეიმ მოახსენა კონგრესს, რომ საგამომძიებლო კომისიის დასკვნით, „მენ“-ი ესპანელების ძიწას დაეჯახაო“*).

შოვინისტური აგიტაცია ფართოდ გაიშალა. ამერიკამ ომი გამოუცხადა ესპანეთს. ეს იყო 1898 წ. 20 აპრილს, 10 ივლისს კი ესპანეთი საფრანგეთის მთავრობის საშუალებით არკვევდა შეერთ. შტატებთან ზავის პირობებს.

10 დეკემბერს ხელმოწერილი იქნა საზავო ხელშეკრულება. ესპანეთმა უარი სთქვა ყოველგვარ პრეტენზიებზე კუბის მიმართ და ამავე დროს იძულებული გახდა დაეთმო შეერთ. შტატებისათვის მთელი რიგი სხვა ტერიტორიები: პორტო-რიკო, ფილიპეს კუნძულები, კუნძულები — კულებრა, კულებრიტა, მონო, ვიეგოსი, გუამი.

ასე მიიღო კუბამ „დამოუკიდებლობა“.

შეერთ. შტატები, რასაკვირველია, არ დაკმაყოფილდა იმით, რომ კუბისათვის „დამოუკიდებლობის“ მოპოებისთვის ბრძოლის პროცესში თავისთვის ასეთი ეკონომიურად სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი ტერიტორიები შეიძინა და „დამოუკიდებლობით“ გაბედნიერებული კუნძული მჭიდროთ შებოჭა სპეციალური ხელშეკრულებით, რომლის ძალით: 1) კუბას არა აქვს უფლება დასდოს სხვა სახელმწიფოებთან ხელშეკრულებები, რომლებიც ზღუდავენ მის „დამოუკიდებლობას“. შეერთებული შტატების იმპერიალიზმის თვალსაზრისით კი კუბის „დამოუკიდებლობას“ ზღუდავენ ყველა ხელშეკრულებები, რომლებიც ზიანს მიაყენებენ მის ინტერესებს კუბაზე. ამიტომ კუბა ფაქტიურად მოკლებულია ყოველგვარ დამოუკიდებლობას საგარეო პოლიტიკაში თავისი ვაშინგტონელი ბატონ-პატრონების დაუკითხავად; [illegible] აქვს უფლება აიღოს სესხები, რომელთა დასაფარავად საკმაო არ არის ჩვეულებრივი სახელმწიფო შემოსავალი, 3) იგი ვალდებულია მისცეს შეერთებულ შტატებს ინტერვენციის უფლება თავისი „დამოუკიდებლობის“ დასაცავად, 4) მან დაუთმო და „იჯარით“ გადასცა შეერთ. შტატებს საქვანახშირო სადგურები და გემთსადგურები ისევ და ისევ კუბის „დამოუკიდებლობის“ დასაცავად.

„დამოუკიდებლობის“ ფასი იმდენად ძვირი გამოდგა, რომ შეერთ. შტატების მომხრეებმაც კი ვერ გაბედეს მისი ერთბაშად მიღება. მხოლოდ 1903 წ. 22 მაისს იქნა მიღებული საბოლოოდ შეერთებული შტატების ეს მონური პირობები.

რასაკვირველია, შეერთ. შტატებს შეეძლოთ დამოუკიდებლობის ეს ფიქციაც არ მიეცა კუბისთვის, თავის ერთ-ერთ შტატად გამოეცხადებია იგი, მაგრამ ეს საზიანო იქნებოდა ლუზიანის შტატის შაქრის მრეწველობისათვის და თამბაქოს და ხილის წარმოებისათვის. ამით აიხსნება შეერთ. შტატების „დემოკრატიული“ ჟესტი კუბის მიმართ.

ოცი წელიწადი გავიდა, რაც „დამოუკიდებელი“ კუბა სინამდვილეში შეერთებული შტატების კოლონიას წარმოადგენს. შეერთ. შტატების ინტერესები კუბაზე არა ჩვეულებრივად გაფართოვდა. 1.7000.000 ათასი დოლარი აქვს დაბანდებული შეერთ. შტატებს კუბის ეკონომიკაში და აქედან 800.000 დოლარი — შაქრის მრეწველობაში. ამერიკელი შაქრის მრეწველები და ბანკები — აი „დამოუკიდებელი“ კუბის ნამდვილი პატრონები. კუბის პრეზიდენტები, მინისტრები, სხვა მაღალი მოხელენი თავიანთ პოსტებს ღებულობენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც საკმაოდ დაამტკიცებენ თავიანთ ერთგულებას ამერიკელ კაპიტალისტთა ინტერესებისადმი. ასე იყო კუბის „დამოუკიდებლობის“ პირველ დღეებიდან, ასეა ახლაც. კუბის პრეზიდენტმა პალმამ, ამერიკელი კაპიტალისტების ფავორიტმა, ნიშნად მადლობისა, პრეზიდენტად არჩევისათვის, გაატარა პარლამენტში ზემოთმოყვანილი მონური ხელშეკრულების მუხლები. გენერალი მენოკალი პრეზიდენტად მოხვდა პირდაპირ „„კუბენ-ამერიკენ“ კომპანიის ადმინისტრატორის სავარძელიდან. მისი მოადგილე გენერალი მოლინეტი „არჩეულ იქნა“ მიწადმოქმედების მინისტრად და ა.შ. და, რასაკვირველია, ამერიკის კაპიტალისტების ყველა ეს ლაქიები თავგამოდებით იცავენ თავიანთი ხაზეინების ინტერესებს.

უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში (1925—33 წ.წ.) კუბა ფაქტიურად იმყოფებოდა ამერიკის კაპიტალისტების ყურმოჭრილი მონის გენერალ ხერარდო მაჩადოს დიქტატურის ქვეშ. მაჩადოს წინაპრები ოდესღაც იბრძოდნენ ესპანეთის ბატონობის წინააღმდეგ. კუბის თავისუფლების მებრძოლთა ეს უღირსი შთამომავალი გადაიქცა კუბის რევოლიუციონური პროლეტარიატის, გლეხობის და წვრილბურჟუაზიის სისხლისმსმელ ჯალათად. გარდა მასიური ტერორისა, რევოლიუციონური მუშების და გლეხების წინააღმდეგ, მაჩადომ შემოიღო სისტემა თავისი მოწინააღმდეგების ინდივიდუალური მკვლელობისა მოსყიდული მკვლელების საშუალებით.

მაჩადოს მკვლელებმა „თავიდან მოიცილეს“ კუბის პროლეტარიატის გამოჩენილი ბელადები. მისი მსხვერპლი შეიქნენ **იალონი, ვარონა, ლოპესი, ბრუკი, უონგი, გრანტი** და, ბოლოს, კუბის კომპარტიის დამაარსებელი **ხულიო მელია.** მიმართავდა რა ტერორის მთავარ ძალას პროლეტარიატისა და რევოლიუციონური მშრომელი გლეხობის წინააღმდეგ, მაჩადო და მისი კლიკა არ ზოგავდა თავის მოწინააღმდე-

---

*) 1915 წ. „მენ“-ის ნამსხვრევების ამოღების შემდეგ გამოირკვა, რომ ხომალდის დაღუპვა გამოიწვია ქვაბის აფეთქებამ.

გეებს ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ოპოზიციიდან.

აი როგორ აღწერს ჩიკაგოს „კომმონწ სენზ“-ი კუბაზე გამეფებულ ტერორს:

„მაჩადოს იმპოზანტური სატახტო ქალაქი მე ვინახულე 1927 წ. 27 სექტემბერს, ე.ი. სწორედ მას შემდეგ, რაც მოკლულ იქნა დ-რი კლემენტ ვასკეზ ბელიო, სენატის თავმჯდომარე და მაჩადოს უახლოესი მრჩეველი. რამდენიმე საათიც კი არ გასულა ამ მკვლელობის შემდეგ, რომ კუბის მთელი რიგი ყველაზე უფრო პატივცემული მოქალაქენი. რომლებმაც იქონიეს თავხედობა ოპოზიციაში ჩასდგომოდნენ მაჩადოს და რამდენიმე კაცი, ჩარეული ბელიოს მკვლელობაში, „თავიდან იქნენ მოცილებული“ — მოჰკლა მთავრობის საიდუმლო მკვლელების ხროვამ. იმავე დღის საღამოს მე უნდა მენახა ლეონალდი ფრეირე დე ანდრადე, ერთ-ერთი ცნობილი ავტორიტეტი შაქრის მრეწველობის დარგში. როცა მასთან მივედი, ის მკვდარი დამხვდა. ჯერ კიდევ მზის ჩასვლამდე არა მარტო ლეონალდო, არამედ მისი ორი ძმაც — გონზალო და გულიელმო მოკლული იქნენ, მათი გასისხლიანებული გვამები ეგდო სახლის მეორე სართულზე“.

მაჩადოს სისხლიანი თარეშის დოკუმენტების გაგრძელება უსასრულოდ შეიძლებოდა.

8 წლის განმავლობაში მაჩადო ერთგულად ემსახურებოდა ამერიკის კაპიტალიზმს, პირნათლად ასრულებდა პრეზიდენტად არჩევის დროს შაქრის პლანტატორებისათვის მიცემულ დაპირებას: „არცერთი გაფიცვა კუბაზე არ გაგრძელდება 24 საათზე მეტსო“. მაგრამ უკანასკნელი თვეების განმავლობაში სულ უფრო და უფრო ძნელი შეიქნა მასების უკმაყოფილების დათურგვნა. მსოფლიო ეკონომიური კრიზისი მაგრად მოხვდა კუბას. შაქრის პროდუქცია 5 მილიონ ტონადან შემცირდა 2 მილიონამდე, ექსპორტი 450 მილიონ დოლარიდან შემცირდა 80 მილიონამდე, იმპორტი—290 მილ. დოლარიდან 51 მილიონამდე. წვრილი გლეხობა საშინლად გაღატაკდა, მუშათა ხელფასი შემცირებულ იქნა მათხოვრულ დონემდე, ყველაფერმა ამან გამოიწვია მასების ახალი მძლავრი აფეთქება. არც ბურჟუაზიული წრეები იყვნენ კმაყოფილი; მაჩადოს უკონტროლო თარეში ძლიერ ძვირად უჯდება მათ. კუბის ფინანსიური მდგომარეობა იმდენად შეირყა, რომ გაზ. „ნიუ-იორკ ტაიმს“-ის ცნობით, მას ჩქარა საშუალება არ ექნება პროცენტებიც კი მისცეს ამერიკულ ბანკებს, რომლებისგანაც მას სესხები აქვს აღებული, ამერიკული ბანკები და შაქრის პლანტატორები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მაჩადო უკვე აღარ გამოდგება მათი ინტერესების დასაცავად. ამით აიხსნება ამერიკული პრესის „მამხილებელი“ წერილები მაჩადოს წინააღმდეგ — მათ „მოულოდნელად“. მაჩადოს 8 წლის სისხლიანი თარეშის შემდეგ აღმოაჩინეს, რომ მაჩადო არის მკვლელი. თავის მფარველების მიერ მიტოვებული მაჩადო უკვე განწირული იყო. რევოლუციონურმა მასებმა სულ მოკლე ხანში გაალამტვერეს ამერიკულ სამხედრო გემების დახმარების გარეშე დარჩენილი მაჩადოს დიქტატურა. მაჩადო „გაიქცა“. მაგრამ ამერიკის იმპერიალიზმი, რომელიც გულგრილად შეხვდა მაჩადოს ხვედრს, სინამდვილეში ფხიზლად ადევნებდა თვალს კუბის ამბებს და მაშინვე ჩაერია კუბის რევოლიუციაში, როცა შეიქმნა საფრთხე, რომ იგი შეიძლება გასცილდეს ამერიკის კაპიტალისტებისათვის სასურველ და ხელსაყრელ ინტერესებს. სასწრაფოდ ჩატარდა ფლოტის მობილიზაცია „საჭირო შემთხვევაში“ კუბაზე გასაგზავნათ. იმავე დროს ამერიკის დიპლომატიური წარმომადგენლები შეუთანხმდნენ კუბის ბურჟუაზიას და დრ. პრეზიდენტათ დანიშნულ იქნა სესპედესი, კუბის ყოფ. ელჩი ვაშინგტონში, ამერიკის კაპიტალისტების ერთგული მსახური. კუბის მშრომელთათვის არაფერი შეიცვალა, სესპედესის მთავრობა მხოლოდ სიტყვით იქნება მაჩადოს მთავრობაზე უკეთესი, საქმით კი იგი განაგრძობს მაჩადოს ნაცად გზას—ტერორის და უსასტიკესი ყვლეფის პოლიტიკას. ამას მოითხოვენ ამერიკის კაპიტალის ინტერესები. კუბის მშრომელებმა მშვენივრად იციან ეს. ამიტომ არის, რომ შფოთვარება არ სწყდება, გაფიცვები გრძელდება, მშრომელი გლეხობა ღელავს. სესპედესისთვის ზურგის გასამაგრებლად გავანაში გაიგზავნა ამერიკის სამხედრო გემები, თავს უყრიან ჯარებს და სხვ. მაჩადოს მემკვიდრეები თავის მართვაგამგეობას იწყებენ ომით მშრომელების წინააღმდეგ.

ასე იცავს თავის ინტერესების დამოუკიდებლობას ამერიკის იმპერიალიზმი ამ შაქრის კუნძულზე.

# პენსილვანიის მაღაროელთა ბრძოლა

რუზველტის მიერ „პატიოსანი კონკურენციის“ შესახებ გამოცემული კანონი, როგორც მოსალოდნელი იყო, მრეწველებმა გამოიყენეს მორიგი შეტევისათვის მუშათა კლასზე. კლასობრივი წინააღმდეგობა, მეორე მხრივ დაიწყო გამოფხიზლება დაუნაზმულ მუშებშიც. რომლებიც წინად ბრმად მიჰყვებოდნენ რეფორმისტულ ლიდერებს. მემაღაროეთა მეძარცხნენე რევოლიუციონური პროფკავშირი თანდათან

ბურჟუაზიული გაზეთების ცნობით, პენსილვანიაში ნამდვილი გამართულ. უიარაღო მშიერ მემაღაროებს ებრძვიან სამხედრო მეცნიერების ყველა წესების დაცვით.





ხანი. მიუხედავად რეფორმისტული ლიდერების (ა. ფ. ს.—შეაკავონ მუშათა მასები, არაჩვეულებრივად მწვავდება. ბრძოლა შრომასა და კაპიტალს შორის ფართოვდება. რუზველტის დეკრეტის გამოქვეყნება აღინიშნა პენსილვანიის მემაღაროეთა გრანდიოზული ბრძოლის დაწყებით. ლიბერალური „ნეიშენი“-ს სიტყვით „უკანასკნელი წლების განმავლობაში ამ (ე. ი. პენსილვანიის, (რედ.) და სხვა ადგილების მემაღაროეთა ხელფასი ისეთი დაბალი იყო, რომ ბევრი მომუშავე იძულებული იყო დახმარება ეთხოვა... ბრიუნსვილის მედიუქნეებმა მიამბეს მე შემთხვევები, როცა ხელფასი არ აღემატებოდა 69 ცენტს კვირაში“ (1 ცენტი 1,6 კაპ.).

უმუშევრობის და სიღატაკის ზრდამ თვალი აუხილა მუშათა ჩამორჩენილ ფენებსაც, ნათლად დაანახვა მათ დარაზმვის საჭიროხრდის თავის ავტორიტეტს—პენსილვანიის მემაღაროეთა გაფიცვა მისი ხელმძღვანელობით მიმდინარეობს.

მოძრაობამ ისეთი ფართო ხასიათი მიიღო, რომ მისი შესუსტებით დაშინებულმა ხელისუფლებამ გაფიცვის რაიონში გაგზავნა ჯარები არტილერიით. ტყვიამფრქვევებით და მხრჩოლავი გაზებით.

სურათებზე: ზევით (მარცხნივ)—პირველი დახმარების აღმოჩენა გაფიცულთა პიკეტებზე პოლიციის თავდასხმის დროს დაჭრილ მემაღაროესათვის. ამ თავდასხმას დროს მოჰკლეს ერთი მემაღარო, სასიკვდილოთ დაჭრა. ქვევით—ოთხი შტრეიკბრეხერი ბრუნდება სახლში პოლიციელის და მაღაროს ძველი რაზმის თანხლებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სნაიპერული

ლექსი **ს. ერთაწმინდელი**

— ო, სნაიპერო, გაზსოვდეს მარად.
უმიზნოდ სროლას არც ერთი ტყვია!
და საბჭოეთის იყავი ფარად,—
ვიდრემ გარს მტერთა ურდო გვარტყია!..

ერთგან გრეზებ, უკუნი,—
ჩაძალი
ნისლით,
და მეორეგან გუგუნი;—
ნალი
წინსვლით!

ჯანყებები კიდით-კიდეთ,—
გამარჯვებები ზშირად თან ახლავს,

და, კომუნართა მშვიდი იდეა,—
შეუპოვრად ... ზღვარს ლახავს!..

წყნარ ოკეანეს გულს ასდის ბული,
ბალტიკა, ღრიხით, რას არ აპირებს?!
და, შავზღვის ტალღა, რისხვად ნადული
ვისას გადალეკს, ნეტა, ნაპირებს?!

ღომი უქრება,—ქაჩალს ტუჩებზე,
ოძა-ხუჭუჭრან გმირებს რომ ხედავს:
და, იმუქრება—
თავზედ ურჩებზე—.
მასი სამარის გათხრას ვინც ბედავს!..

და იერიში ლასცხებს გრიგალად,—

დარტყმად წამოვლენ მტერთა ჯარები

წითელარმიულ გადამბუგ ალად,—
ატეხე რისხვის ნიაღვარები!..
თითქოს ახალი სჩანს სარაევო
და, მზერა წინსვლად;
ჩვენს რესპუბლიკას არა ეჩნოსო
იყავი ფხიზლად!...

— ო, სნაიპერო, შზად გქონდეს მარად
ბოლშევიკური ყალიბის ტყვია
და საბჭოეთის იყავი ფარად,—
ვიდრემ გარს მტერთა ურდო გვარტყია.

# ნ. ბარათაშვილის რეალური პორტრეტისათვის

**ნიკოლოზ კევლიშვილი**

ნიკოლოზ ბარათაშვილის რეალური პორტრეტის საკითხი როგორც მთელი რიგი მასალებიდან ირკვევა, (ს. ფირცხალავა—1922 წ.—გ. ლეონიძე—1933 წ.) ჯერ კიდევ გამოურკვეველად უნდა ჩაითვალოს. ცნობილია, რომ 1904 წ. „მოგზაურის პრემიას“ სახელით გამოქვეყნდა პორტრეტი წარწერით: „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, რომელსაც მიწერილი აქვს „დახ. ტ. მომცემლიძე“, ე. ი, მხატვრობა ეკუთვნის ტ. მომცემლიძეს, რომლის საავტორო უფლებაც ამ პორტრეტზე დღესაც დაცულია. გ. ლეონიძის უკანასკნელი მასალები ერთხელ კიდევ ამტკიცებს ამ პორტრეტის სიყალბეს.

იბადება კითხვა: ვინ შეთხზა მგოსნის ეს ყალბი პორტრეტი? ცნობილია, რომ არსებობს ცნობა თითქოს მხატ. ტ. მომცემლიძეს „პოეტის“ ეს პორტრეტი აღუდგენია პოეტის დის—სოფიო სუმბათაშვილის სახის, იერიდან, რომელიც თურმე ძალიან ჰგავდა ძმას—პოეტს. მართლაც, სარწმუნო წყაროების მიხედვით საკმარისი იყო სოფიოსათვის მიგეკრათ ტუჩებზე პატარა ულვაშები, რომ პოეტისაგან ვერ გაარჩევდით. „Вот уговорите Софию сняться в фотографии, приделайте ей усуки и наденьте ей сюртук и будет у вас портрет поэта“.

ეუბნება ნინო ყიფიანი თავის შვილს—კოტე ყიფიანს. (იხ. გ. ლეონიძე—იქვე), ნინო ყიფიანის ამ სიტყვებიდან მტკიცდება აგრეთვე ისიც, რომ პოეტი ატარებდა არა ეროვნულ-ნაციონალურ ტანისამოსს (ქულაჯა), არამედ—სერთუკს. (იგივე ევროპიულ სამოქალაქო ტანისამოსს). ამგვარად, ცნობა „მოგზაურის“ პრემიალური პორტრეტის იგათობის შესახებ ბათილდება, რომელიც ყიფიანი, ამ მდივილეში ყოფილა არა პოეტის პორტრეტი, არამედ ვიღაც ალექსანდრე ციციშვილის სურათი. ეს საინტერესო ცნობა გ. ლეონიძისათვის მისივე თქმით გადაუცია ძველ მოღვაწის და მთარგმნელს ივანე აბაშიძეს.

ნ. ბარათაშვილის რეალური პორტრეტის შესაქმნელად საჭიროა საფუძვლად იქნეს მიღებული არა მარტო მიხ. თუმანიშვილის არქივში აღმოჩენილი პოეტის ესკიზი, როგორც გ. ლეონიძე ფიქრობს. რომელიც ყოფილა ჰუნგრიულ ტანისამოსის მაგვარ ტუალეტში, არამედ საჭიროა თვით პოეტის მომსწრეთა გადმოცემანი იქნეს მიღებული საფუძვლად, მაგ. თვით პოეტის დის—ბარბარე ვეზირიშვილისას, პოეტის მეგობარის კ. მამაცაშვილის და ნინო ყიფიანის აღწერილობანი. განსაკუთრებით დისა და მეგობარის გადმოცემანი, რადგან, როგორც უფრო ახლო მყოფნი პოეტთან, უფრო ახლო იქნებიან დამაჯერებლობასთან. თუმანიშვილის არქივში ნაპოვნი ესკიზი რაღაც ჰუნგრიულ ტანისამოსში არ არის ძირითადი. რად გვინდა ჰუნგრული, როდესაც პოეტის და ბარბარე ვეზირიშვილისა პირდაპირ გვეუბნება, რომ პოეტი იცვამდა სერთუკსო. ილოთიშხული ესკიზი პოეტის ვერც სახის-იერის გამორკვევაში დაგვეხმარება, რადგან ესკიზი შესრულებული ყოფილა თვით თუმანიშვილის მიერ ფანქრით, რომელსაც მისივე შვილის სიტყვით ხატვა არ სცოდნია რიგიანად. (იხ. გ. ლეონიძე—იქვე).

ცნობილია, რომ ამა თუ იმ პიროვნების ზუსტად შესწავლისათვის ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს თვით პიროვნების კერძო ოჯახური, მიწერ-მოწერა და თუ პოეტს ამ მიწერ-მოწერიდან გავიცნობთ და გავარკვევთ პოეტის სახუმარო გაკამათებებს (ლექსებს) მეგობრებს, შორის, დავინახავთ, რომ პოეტი ცხოვრებაში აუცილებლად ხმარობდა სათვალეებს და როგორც ფიზიკურად უძლურს (ორივე ფეხ-

**სტალინის სახელობის სარემონტო ქარხნის კულტცეხის მუშა...**



სტალინის სახელობის სარემონტო ქარხ.-ნის მუშათა და მათი ოჯახების კულტმომსახურებას აწარმოებს ქარხნის კულტცეხი. პლეხანოვის სახელობის კლუბთან მუშათა ბავშვებისათვის გახსნილია საბავშო ბაღი 85 ბავშვისთვის, კვება კარგია. ბავშვებისათვის ეწყობა კულტგართობა, ფიზკულტ,ვარჯიშები და სხვ.
სურათზე—საბავშო ბაღის გამგე ამხ.—ამხ. ბეჟაშვილი ესაუბრება ბავშვებს,

ნით კოჭლი) ყავარჯენი ეკავა ხელში. ავე-ლოთ მაგ. ერთ-ერთი ასეთი გაკამათება ნიკოლოზ ბარათაშვილის, მიხეილ ორბე-ლიანის, ელენე ერისთავისა და მარიამ ფალავანდიშვილის შორის*). გარდა ამისა როგორც ვიცით პოეტს ნიკოლოზს გარდა ეძახდენ ტატოს, როგორც შინაურ და საალერსო სახელს, უმთავრესად კი ქალე-ბი, რომლებშიაც პოეტი ხშირად იყო გარ-თული. ამ ალბომში სახუმარო გაკამათე-ბის დროს ქალები პოეტს ტატოს სახელით მიმართავდნენ ხოლმე. ამას ადასტურებს როგორც ნინო ყიფიანის შვილთან საუბრის დროს:

„Нино называла его Тато, был низенкого роста, чистое лицо".

და სხვ. (იხ. გ. ლეონიძე—იქვე). აგრეთვე თვით პოეტის წერილებიც, მაგალითად პო-ეტის მიწერილი წერილი მაიკო ორბელიან-თან 1845 წ. 10 აგვისტოს თარიღით, სა-დაც ასე ამთავრებს პოეტი წერილს: „გწერს შენი მარადის ერთგული თვით ტატო და თუნდ ნიკოლოზი" (ხაზი პოე-ტისაა, იხ. იმავე გამოც. ნიკ. ბარათაშვი-ლის ნაწ. გვ. 114) ვფიქრობთ არ არის ეს სადაო საკითხი მით უმეტეს, რომ ფალავანდიშვი-ლი ტატოს სახელზე ერთ-ერთი ასეთი გაკა-მათების დროს ალბომში პოეტს სწერს:

„პალატაში ჯილდოთი ჩანი მოგვმატებია,
ფეოდალის ყურებით სავსე გაგვხიმრებია
სათვალეცა თქვენ გძღვნით ყავარჯენიც
ხელშია,
ჩვენ არ გვწუხდებით ამ ხასხს, დაე თქვენი
ბრალია".

(იგივე გამოცემა გვ. 126 ხაზი ჩვე-ნია—ნ. კ.).

მაშასადამე როგორც ამ უტყუარ წყა-როდ ირკვევა პოეტი ხმარობდა სათვალეებს, რომელიც თურმე შეეხოდა ყავარჯენთან ერთად. ყავარჯენის საკითხიც რომ თავის თავად გასაგებია (როგორც ორივე ფეხით კოჭლი). სხვანაირად არც შეიძლება ყო-ფილიყო. და ეს ორივე ნიშანიც (სათვალეები და ყავარჯენი) როგორც პორტრეტის ორ-გინალობის დამახასიათებელი, პორტრეტის რეალობის განხორციელებას დიდათ შეუწ-ყობს ხელს.

---

*) ეს სახუმარო გაკამათებანი ჩაეწერით ალბომში სახელდახელოდ მიხეილ ორ-ბელიანი კი ყოფილა ნიკოლოზ ბარათა-შვილის ამხანაგი (ძმა მაიკო ორბელიანისა) ელენე და მარიამი კი დები ყოფილან, ლუარსაბ ორბელიანის ქალები. პირველი, გათხოვილი ყოფილა ზაქარია ერისთავზე, მეორე, ნიკოლოზ ფალავანდიშვილზე.

ჩელიაბინსკის ელსადგურის სამანქანო დარბაზი



პირველ რიგში ტურბინა დამზადებული ამხ. სტალინის სახელობის ქარხანაში (ლენინგრადი).

# „არსენას ლექსის" ავტორის ვინაობა

## ირაკლი ლუკაშვილი

„არსენას ლექსი" დიდხანს ვრცელდებო-და ხალხში ზეპირ გადაცემით, სანამ პეტ-რე უმიკაშვილმა არ ჩაიწერა და გამოსცა 1870 წ. მას შემდეგ ეს შესანიშნავი ლექსი გამოიცა ოცჯერ და ტირაჟმაც გადააჭარბა ასი ათასს. ამ ლექსის ავტორის ვინაობაზე ჩვენ დღევანდლამდე თითქმის არაფერი ვიცით, თუ არ ჩავთვლით ზ. ჭიჭინაძის ზერელე ცნობას, რომ მას გაეგონოს, ვი-თომც ამ ლექსის გამომთქმელი ყოფილი-ყოს ვინმე რაჭველი სამსონ სხირტლაძე, რომელსაც პურის საცხობი ჰქონდა ტფი-ლისში.

ჩვენს შეკითხვაზე, თუ რაზე ემყარება ეს გადმოცემა, ჭიჭინაძემ ვერ მოგვცა გარ-კვეული პასუხი, იმის გარდა, რომ „ასე გამიგონია ძველადო".

ვაინაიდან ამ ცნობას არავითარი დამა-ჯერებელი საფუძველი არა აქვს, სხვა ცნობა კი არ მოგვეპოება, ამიტომ ჩვენ შევუდექით ლექსის შესწავლას, რომ ეგები ლექსშივე გვეპოვა რაიმე ცნობები ავ-ტორზე.

პირველად მოკლე ბიოგრაფიული ცნობა თვით ლექსის გმირზე არსენა ოძელაშვილ-ზე. როგორც ლექსიდან სჩანს და სინამდ-ვილესაც ეთანხმება, არსენა ყოფილა სო-ფელ მარაბდოდან (თბილისის ახლოს), სა-დაც ბორჩალოს მოურავს ბატონს ზაალ ბარათაშვილს მოსტაცა მოახლე ქალი და გადიხვეწა საზღვარგარეთ ახალციხეს, რო-მელიც მაშინ კიდევ ოსმალეთს ეკუთვნო-და. მაშასადამე ეს ამბავი უნდა მომხდა-რიყო 1825 წლებში, რადგან ახალციხე რუსეთმა 1828 წელში შემოიერთა.

ამის შემდეგ არსენას უცხოვრია ხუთმეტ წელს.

ხუთმეტ წელს ყაჩაღად დადის,
კაცის ცოდვა არ აძევსა".

მაშასადამე არსენა მოუკლავთ 1840 წლე-ბში, რაც ეთანხმება სინამდვილეს, რადგან ოფიციალურ ცნობების მიხედვით არსენა მოუკლავთ 1842 წელს.

ამ ხნის განმავლობაში არსენამ ისეთი სა-ხელი მოიპოვა ხალხში, რომ მისი მოულო-დნელი სიკვდილი უეჭველია იმ ხანებშივე გამოიწვევდა ამ ლექსის გამოთქმას. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ლექსი გამოთქმული უნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დამარცხებული მდინარე



მდინარე დნეპრის ჩანჩქერი „ნენასიტეც“ დნეპრმშენის დამთავრების შემდეგ მთლიანად დაფარულია წყლით.

და იყვეს 1850 წლებში.

რამდენი ხნისა უნდა ყოფილიყო ამ დროს ავტორი? როგორც ლექსიდანა სჩანს, ავტორი არსენას თავისი თვალით მნახველია. ლექსში აწერილია არსენას მისვლა მარტყოფში დღეობაზე, სადაც აგრეთვე მისულა ავტორიც. ეს მომხდარა ლექსის მიხედვით არსენას მოკვლის წინა წელს, ე. ი. 1841 წელს.

„ღვთაებობის მადლი გწყალობთ,
მარტყოფის თავში შვენია,
იქ იყო მისი დღეობა,
თითონაც გიახელია“,

თანაც მოლექსე იწყალობება ყოველ სიტყვაზე.

„როცა წირვა გამოვიდა,
იმისი მადლი შენია..
ღვთაებობის მადლი გწყალობთ“.. და სხ

დაწყალობება ჯეელებმა არ იციან, ეს შეჰშვენის ხანშესულ ადამიანს. ამის მიხედვით შეგვიძლიან ვივარაუდოთ, რომ ავტორი დაბადებული უნდა იყვეს 1810 წლებში, როგორც თვით არსენაც.

რა ხელობისა უნდა ყოფილიყო მოლექსე?

„შაირსიტყვათა მესტვირემ
ღმერთი მაღალი ახსენა“,

ამბობს თავის თავზე ლექსის დასაწყისშივე ავტორი. მაშასადამე ავტორი ყოფილა მესტვირე (და არა პურის მცხობელი) და თითონვე უკრეცელებია ხალხში თავისი ლექსი სტვირზე დამღერით:

სადაური უნდა ყოფილიყო ავტორი?

ავტორი ხმარობს ისეთ თქმებს, რომლებსაც იტყვიან აღმოსავლეთ საქართველოში.

„ე მამაძაღლის ტიელი,
რა ბუზები მასხედს ესა...
იმტელი მამა უცხონდა,
რამდელიც იმას მისცესა“.

სიმძიმის გამოსახატად ავტორი იტყვის „ლიტრას“, რომელიც ხმარებაშია კახეთსა და ქიზიყში.

„ლიტრა ალვირს თუ ამოსდებ,
თორემ თავსა წაგარმევსა“.

ლიტრა ალვირს, ე. ი. ცხრაგირვანქიან მძიმე ალვირსო.

საზამთროს მაგივრად ავტორი იტყვის „ყარფუზს“, რომელსაც მხოლოდ ქიზიყში ხმარობენ.

„ორი მუშტი რომ შემოჰკრა,
ყარფუზივით დააბნევსა“.

საზამთრო ქიზიყში გამოაქვთ მუღანლოელ თათრებს, ამიტომ ქიზიყელებიც საზამთროს ყარფუზს ეძახიან. მუღანლოელი თათრები დასახლდნენ ოდესღაც იორს გაღმა იმ მიწებზე, რომლებსაც ქიზიყელები თავისად სთვლიდენ. ამ ნიადაგზე ქიზიყელებსა და თათრებ შორის ხშირად ჩხუბი და კეტების ტრიალი ხდებოდა. ეტყობა ჩვენი მოლექსეც ჯეელობაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა ამ შეხლა-შემოხლაში და ამიტომ არის თათრებზევე გულმოსული, რომ იმისი არსენა:

„სადაც თათარს დაინახავს,
ბურდავალას აძახებსა“.

ბურდავალა თათრულად ღმერთო მიშველეა. თათარიზმი გვხვდება ლექსში კიდევ ერთ ადგილას:

„იალუჩი და ბალიში
საჩქაროზე მოართვესა“.

იალუჩი თათრული სიტყვაა, იხმარება მხოლოდ ქიზიყში და ნიშნავს მცირე ზომის ლეიბს.

ამასთანავე, ავტორი ზედმიწევნით აგვიწერს ბოდბეს, შირაქს და ქიზიყის სხვა ადგილებს.

ზემოდ ჩამოთვლილი საბუთები გვაფიქრებინებენ, რომ ავტორი ჩამომავლობით ქიზიყელი უნდა ყოფილიყო, შემდეგ კი, როგორც ეტყობა, გადმოსახლებულა თბილისში.

„სუმბათოვიც იქ მობძანდა
ის ჩვენი ქალაქელია“,

ე. ი. ჩვენებური (ქალაქელიაო).

ავტორს მშვენივრად შეუსწავლია თბილისი და იმის მიდამოები—მცხეთა, კოდა, მარტყოფი, შეუთვისებია ქალაქური სიტყვები და ჟარგონი.

„დრასტი ზნაკომ გაგიმარჯოს,
კუდა იდოშ საითკენა...
ნასკაკოიც მიაძახა,
თავად გახლავარ არსენა“.

მაგრამ ამასთანავე ერთად ავტორმა მშვე ვნირად იცის ძველი ქართულიც.

„იმის ქვემოდ შედიში
კოჭებამდის დაუშვენა...
ხმალი ვადაში გადუტყდა“...
და ბევრი სხვა.

**დასკვნა:** ავტორი დაბადებული უნდა იყვეს 1810 წლებში, ხოლო 1870 წელს, როდესაც იმისი ლექსი ჩაიწერა და გამოიცა, ცოცხალი აღარ უნდა ყოფილიყო. ავტორი ქიზიყელი უნდა იყოს, რომელიც შემდეგ თბილისში დასახლებულა, სადაც შაირ სიტყვებით და სტვირზე დამღერით ირჩენდა თავს, და 1850 წლის ახლოს გამოსთქვა „არსენას ლექსი“.

ავტორი არ უნდა ყოფილიყო წერა-კითხვის მცოდნე, თორემ უეჭველია თავის ლექსს თითონვე ჩასწერდა. ის ამღერებდა ამ ლექსს სტვირზე, ავრცელებდა ხალხში და აქცია ნამდვილ ხალხურ ლექსად, რადგან ავტორიც ხალხის წიაღიდან არის გამოსული და მისი ლექსიც ხალხის გულიდან არის აღმოხდილი სოციალურ უსამართლობათა წინააღმდეგ.

# დავაარსოთ კინო მუზეუმი

## გენადი მიხეილიძე

გაშლილი სოციალისტური მშენებლობის პერიოდში კულტურულ რევოლუციის ამოცანები მოითხოვენ იდეოლოგიური ზედგავლენის ყველა საშვალებათა მობილიზაციას და მათ მაქსიმალურად გამოყენებას; ასეთს საშვალებათა შორის საპატიო ადგილი უჭირავს კინოსაც.

ამიტომ საბჭოთა კინემატოგრაფიის რე-

**ახალი აპარატის დეპეშების მიღების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის**



თითეული დეპეშების გაფორმებას ფოსტელეგრაფში ორი წუთი მაინც უნდება.

**ამხ. შარკოვსკისა და კომახიძის** მიერ დამზადებული აპარატის რამდენიმე წამის განმავლობაში ავტომატიურად რეგისტრაციაში ატარებს დეპეშას, აღბეჭდავს მასზე მიმღების გვარს და ამზადებს ქვითარს. ეკონომია ამ გამოგონებიდან მარტო ერთი კონტორის მიხედვით შეადგენს 110,000 მანეთს.

**სურათზე—გამომგონებელი ამხ. შარკოვსკი.**

კონსტრუქციის საკითხებს, მისი იდეოლოგიური დონის ამაღლებას, ხარისხის გაუმჯობესებას და მისი განვითარების ახალ გზების გამონახვას პარტიისა და ხელისუფლების მხრივ უდიდესი ყურადღება აქვს მიპყრობილი.

კინემატოგრაფიის მუშაობის გარდაქმნა მიმდინარე ეპოქის მოთხოვნილებათა დაცმა ყოფილების მიზნით, მისთვის ახალი გზების გამონახვა და მისი განვითარების ახალ კალაპოტში ჩაყენება შესაძლებელია მხოლოდ სათანადო მომზადებულ კვალიფიციური კადრებით, ამის შესახებ ლაპარაკი ზედმეტია, თუ ის არ გამომდინარეობს კინემატოგრაფიის განვითარების წარსული ეტაპების პერსპეკტივების ბუნების ანალიზიდან, მათ დაავადებათა სწორი დიაგნოზიდა და სასიცოცხლო ძალების გამონასკვიდან. ამიტომ საჭიროა ჩვენი კინემატოგრაფიის ისტორიის საფუძვლიანი შესწავლა.

ქართული კინემატოგრაფიის ახალი კადრები მოკლებული არიან საშუალებას, გაეცნონ ჩვენი კინემატოგრაფიის განვითარების ისტორიას. ამის მიზეზი ქართულ კინომუზეუმის უქონლობაა. თუ ამას დავუმატებთ კიდევ იმ გარემოებას, რომ ამ დარ-

**ამხ. გვინჩაშვილი — საუკეთესო მსროლელი**



ამხ. გვინჩაშვილი არის № ქართული ლეგიონის ერთ-ერთი საუკეთესო დამკვრელთაგანი. ის პირველი ჩაეწერა უმცროს მეთაურების ჩაბმაზე და 4 წლის განმავლობაში არა აქვს არავითარი შენიშვნაც კი. ამხ. გვინჩაშვილი ითვლება საუკეთესო მსროლელად.

გში ჩვენ არ მოგვეპოვება არც ერთი ლიტერატურული, ან მეცნიერული ნაშრომი, —ადვილი წარმოსადგენია მდგომარეობის მთელი უმწეობა.

კინემატოგრაფია ხელოვნების ყველაზე უფრო უახლესი დარგია, მიუხედავად ამისა, საბჭოთა კინემატოგრაფიას აქვს მდიდარი წარსული, რომელიც საჭიროებს გულდასმით შესწავლას. საბჭოთა კინემატოგრაფიაში საქართველოს კინემატოგრაფიას იმდენად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, იმდენად მნიშვნელოვანი და დამახასიათებელია მის მიერ განვლილი გზები, რომ წარსულის მკვლევარს არ შეუძლია გვერდი აუაროს მის განვითარების ეტაპებს, მის ადგილს და ხვედრითი წონას საერთოდ,

**ამხ. კოზეცკი**



**ახლად დანიშნული საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულად ამიერკავკასიაში.**

**ამიერ-კავკასიაში დანიშვნამდე ამხ. კოზეცკი 8 ნახევარი წლის განმავლობაში იყო საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად დანიაში.**

საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარების ისტორიაში.

წარსულის შესწავლა შესაძლოა მხოლოდ სათანადო მასალების და დოკუმენტების შეგროვება, სისტემატიზაცია და დამუშავება აუცილებლად სადღეისო ამოცანად უნდა იქნეს მიჩნეული; ეს საქმე კი უნდა დაეკისროს ქართულ კინო-მუზეუმს, რომლის დაარსების საკითხი მომწიფებულია. საჭიროა ეს მუზეუმი ჩამოყალიბდეს დაუყოვნებლივ, თორემ სულ ცოტა ხანში ის განძიც გაქრება, რაც წლების განმავლობაში დაგროვილია სახკინმრეწვში.

ტფილისში არსებობს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმი, რომელიც შეუდგა ქართულ კინემატოგრაფიის შესწავლას და მასალების შეგროვებას. ამჟამად მას მოეპოვება მასალები ქარ.კინემატოგრაფიის ისტორიიდან დაწყებული 1900 წ. დღემდე; ამ საბუთების კოლექცია შესდგება: ძველი პლა

კატებისა, დოკუმენტებისა, კინო-მაკეტებისა და ფოტო-გადაღებებისაგან. არის მასალები ქართული ფილმების საზღვარგარეთ საექსპლოატაციოდ გადაგზავნის და სხვ. ამრიგად კინო - ექსპონატების რიცხვი აღემატება სამას ნომერს.

რამდენიმე წლის წინად საკავშირო კინო მუზეუმის თხოვნით საქ. სახელ. სათეატრო მუზეუმმა მას გაუგზავნა მასალები—ასლების სახით, ამ ჟამად ამ მასალებისაგან შესდგება საკავშირო კინო-მუზეუმის ქართული განყოფილება. ამრიგად საკავშირო კინო-მუზეუმის ქართული განყოფილება კინო-მუზეუმს მოეპოვება ზოგიერთი მასალები ქართული კინემატოგრაფიის ისტორიის შესასწავლად. ხოლო საქ. - კინმრეწვს კი არაფერი, ეს მაშინ, როცა ეს უკანასკნელი ყველაზე უფრო მეტად უნდა იყოს დაინტერესებული ამ საკითხით.

კინო-მუზეუმი უნდა გვიჩვენებდეს: ა) კინო ტექნიკის ევოლუციას პირველ პრიმიტიულ აპარატიდან დაწყებული დღევანდელ სხვადასხვა სახის რთულ აპარატებამდე; ბ) კინო-ფაბრიკის მუშაობის ელემენტებს, გ) კინო-დადგმათა წარმოების ტექნიკის ევოლუციის ჩვენში; დ) თეატრულ საქმეს (კინო-თეატრები); ე) გაქირავების საქმეს; ვ) სასოფლო საკლუბო კინო წარმოდგენების ელემენტებს და მათ ევოლუციას (დეკორაციები, კოსტუმები, მაკეტები, ფოტოები, პლაკატები, ლიტერატურა და სხვ.)

საქ. კინმრეწველობისათვის დღეს ეს ადვილი საქმეა და ამას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს ეხლავე. ამ საქმეს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია მომავალში.

საკინმრეწვს არც ბევრი გამოყოფა დასჭირდება; პირველ ხანებში მუზეუმისათვის საკმაო იქნება დაახლოვებით 200 კვ. მეტრის ფართობი და მისი გამონახვა თამამად შესაძლებელია საკინმრეწვის სამმართველოს ფარგლებში.

კინო მუზეუმის დაარსების საკითხით დაინტერესებული უნდა იყოს არა მარტო კინო-ფოტო მრეწველობის სამმართველო და კინო ფაბრიკის ადმინისტრაცია, არამედ საქართველოში შემავალი ყველა წარმოებები, პირველ რიგში—კინემატოგრაფიის მუშაკთა ასოციაცია, ყველა კულტურული და მხატვრული ორგანიზაციები.

# ხელოვნების ქრონიკა

## საბჭოთა მწერლების კლუბში

31 აგვისტოს დრამატურგმა მსტისლავსკიმ საქ. საბჭოთა მწერლების კლუბში წაიკითხა მოხსენება თემაზე „თეატრი და დრამატურგია“. მოხსენებას დაესწრო დრამატურგთა და მწერალთა აქტივი. მოხსენების შემდეგ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს მწერალმა ს. შანშიაშვილმა, „სალ. გაზეთის“ რედაქტორმა ამხ. დ. დემეტრაძემ, რეჟ. სულიაშვილმა და მანაგაძემ.

## ბ. პილნიაკისა და პ. ჩუკოვსკისთან შეხვედრის საღამო

2 სექტემბერს მწერალთა სახლში მოეწყო ბ. პილნიაკსა და კ. ჩუკოვსკისთან ქართველ მწერლებთან შეხვედრის საღამო. საღამოს დიდძალი ხალხი დაესწრო. საქ. საბ. მწერლების სახელით სტუმრებს მიესალმა ამხ. ბ. ჟღენტი.

შეხვედრას საუბრის ხასიათი ჰქონდა. მწერალი პილნიაკი იძლეოდა პასუხს შეკითხვებზე. მან განაცხადა:

— დღემდე ჩემს ლიტერატურულ მუშაობას ვაწარმოებდი პოლიტიკის გარეშე. მეგონა პოლიტიკა და მწერლობა ორი სხვადასხვა გზით მიდიოდა. თურმე ვცდებოდი და ამაში დავრწმუნდი მხოლოდ მაშინ, როცა ჩემი ნაწერებიდან საბჭოთა მკითხველისათვის ბევრი რამე გაუგებარი აღმოჩნდა. დავრწმუნდი აგრეთვე, რომ ბევრი წავაგე, როგორც მწერალმა, ლენინიზმის დროზე შეუსწავლელობით. ღრმად მრწამს შეუძლებელია ატარო საბჭოთა მწერლის სახელი, გინდოდეს ასახო შენი ეპოქა და, არ იცნობდე ლენინს. მე ვიგრძენი ეს ნაკლი და ვცდილობ გამოვასწორო — ვსწავლობ ლენინს. შეკითხვაზე რეალურია თუ არა ჩემი პერსონაჟები — შემიძლია ვუპასუხო —თვითეული ჩემი პერსონაჟი მოცემულია როგორც ილიუსტრაცია. მე არ ვაგრძელებ ძველი მწერლობის გზას. ეპოქამ მოითხოვა მწერლისაგან ახალი ხერხები და მეც შეძლებისდა დაგვარად მცირედი რამ გავაკეთე ამ მხრივ.

ამჟამად დამთავრებული მაქვს მეორე წიგნი იაპონიაზე. ვწერ ახალ რომანს. ბევრს ვმოგზაურობ, ვსწავლობ ზედმიწევნით იმ მასალას, რაზედაც მიხდება მუშაობა. ვკითხულობ შერჩეულ ლიტერატურას. ვცდილობ არ შევეხო იმ თემებს, რაზედაც დაწერილა ჩემამდე.



ბ. პილნიაკი.

პილნიაკის შემდეგ სიტყვით და საკუთარი ლექსებით გამოვიდა ცნობილი რუსი საბავშო მწერალი ჩუკოვსკი. დამსწრე საზოგადოებამ მხურვალე ოვაციები გაუმართა მას და რამდენიმე საბავშო ზღაპარი წააკითხა.

## რევოლუციის მუზეუმის გამოფენა

პარტიის მეორე ყრილობის 30 წ. თავის აღსანიშნავად სტალინის სახელობის ინსტიტუტთან არსებულმა რევოლუციის მუზეუმმა მოაწყო საგანგებო გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილია შემდეგი საბჭოთა მხატვრები:

1. ლ. გუდიაშვილი—„1901 წ. საპირველმაისო დემონსტრაცია სალდათის ბაზარზე“,—„პატარა კომუნარი“, — „ჯორჯიაშვილის ჩამოხრჩობა“. 2. ე. ახვლედიანი—„რკინისგზელთა გაფიცვა“, — 3. მაისაშვილი—„ბრძოლა ნასაკირალზე 1905 წ.“ 3 მ. თოიძე—„მიტინგი გურიაში“; 4. დ. წერეთელი — „კავკასიის კავშირის კომიტეტის სხდომა ტფილისის მენშევიკური 3. მ. თოიძე—„მიტინგი გურიაში“. 4. დ. რეიშივლი „ფრაქციული დისპუტი 1905 წ. ჭიათურაში“; 6. გრძელიშვილი—„გორი“; 7. ს. ერისთავი—„ბათომის მუშების დემონსტრაცია ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით 1902 წ.“; 8. „სტალინი“; 9. ბატონყმობის უღელ ქვეშ“, „ლეონინი“, „ფ. მახარაძე“. „რეაქციის თარეში“, „ქალის ჯვრის ბრძოლა 190ა წ.“ 10. მელიქოვი—„იარაღის გადმოტვირთვა გუდაურში ამხ. ს. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით“, 11. კროტკოვი—„სტალინი 1903 წ.“ „დაპატიმრებული ამხანაგების გაცილება“; 12. ა. ქუთათელაძე—„დემონსტრაციისათვის მზადება“,—„დემონსტრაციის დახვრეტა 1918 წ. წ მენშევიკების მიერ“. 13. ი. თოიძე — „ფიცი“. მოქანდაკეებიდან: ს. ი. ნიკოლაძე—„ლენინი“, 2. სესიაშვილი—„1905 წ. დემონსტრაცია“.

# ქრონიკა

## ვიბრძოლოთ რკინის გზის ტრანსპორტის ყველა რგოლების წესიერად მუშაობისათვის



მატარებლების შემადგენელი ამხ. ბარბაქაძე მანევრების წინ (თბილისის სადგური) სამანევრო ორთქლმავლების მემანქანეს ამხ. კოცებიეს აცნობს მომავალი მუშაობის გეგმას.

## ტექნიკის დაუფლებისთვის საუკეთესო მებრძოლი



სამხრეთის პარკის (თბილისი) გზის ოსტატი ამხ. ფუტკარაძე საკ. კ. პ. (ბ) წევრი, თავისი პარკის ერთ-ერთი საუკეთესო საზოგადოებრივი მუშაკთაგანია. ტრანსპორტზე მუშაობას ის ათავსებს სწავლებსთან— ამაღლებას თავის კვალიფიკციას საღამოს ტექნიკუმში.

## ამხ. ტელმანის სახელობის ლიტერატურული კონკურსი




ლენინგრადის გერმანულმა გაზეთმა „როტე ცაიტუნგ" გამოაცხადა გერმანიის ფაშისტური ბანდების ტყვეობაში მყოფ ამხ. ერნსტ ტელმანის სახელობის ლიტერატურული კონკურსი.

სურათზე: „როტე ცეიტუნგის" გვერდი ამხ. იოგანეს ბეხერის, ერვინ პისკატორის, ალექსეი ტოლსტოის, ო. ფორშის და სხვ. წერილები კონკურსის შესახებ

# საბჭოთა კავშირში

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ერიო საბჭოთა კავშირში



ერრიო მიკროფონის წინ სიტყვას ამბობს ხმოვანი ფილმისთვის.

## განათლების მუშაკთა სპარტაკიადა



როსტოვის, ბაქოს და თბილისის განათლების მუშაკთა სპარტაკიადაზე პირველობა ცურვაში მიიღო ბაქოელმა მირზოევმა.

## ამხ. სტალინის სახ. ვაგონების სარემონტო ქარხანა (ტფილისი)



ტექსწავლების გაშლის შესახებ ცეკას დადგენილების წლის თავზე ტექსწავლების სანიმუშოდ ჩატარებისათვის დაჯილდოებული ინჟენრები ამხ. ამხ. შავიძე, ჟუბადიშევი და კუპრავა.

ფასი 40 კაპ.

სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. 68. მთავლ. № 1118. შეკვ. № 2561. ტირაჟი 4000.